აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№22 (25.150) 14 ივნისი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და მთიან რაიონებში - 27-32 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 22 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა ელჭექით.

მინისტრის ანგარიში – განხორციელებულ აქტივობებსა და დაგეგმილ სიახლეებზე

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის საკანონმდებლო ორგანოში, „მინისტრის საათის“ ფარგლებში, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ნინო ნიჟარაძეს მოუსმინეს. მან უწყების საქმიანობის შესახებ დეპუტატებს ანგარიში წარუდგინა და რეგიონში განხორციელებულ, მიმდინარე თუ მომავალში დაგეგმილ პროგრამებსა და სხვა მნიშვნელოვან აქტივობებზე ისაუბრა. მინისტრის ინფორმაციით, 2024 წლის ბიუჯეტი გასული წლის ბიუჯეტთან მიმართებაში 18 020 000 ლარით გაიზარდა და 51 255 000 ლარს შეადგენს. სამინისტრო საქვეუწყებო დაწესებულებებთან ერთად, 36 პროგრამას ახორციელებს და 2023-2024 წლებში აჭარაში მოსახლეობას ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დასაქმების მიმართულებით, 103 432 ბენეფიციარს სხვადასხვა სახის სერვისი მიაწოდა. მინისტრმა, ასევე, ყურადღება გაამახვილა 2024 წელს განხორციელებულ აქტივობებზე. ნინო ნიჟარაძის ინფორმაციით, „2008 წლის რუსული აგრესიისა და ავღანეთის სამშვიდობო მისიის (2007-2021 წწ) დროს დაღუპულ და დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა ოჯახების დახმარების“ პროგრამის ფარგლებში, გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტი, ბენეფიციარებისთვის გასაცემი თანხის მოცულობა და მოსარგებლე პირთა არეალი. კერძოდ, დედებსა და მეუღლეებს მარტში გაეწიათ დახმარება, თითოეულს 5 000 ლარის ოდენობით, ხოლო აგვისტოში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა 32 მეომრის ოჯახს, თითოეულს 10 000 ლარის ოდენობით. ასევე, ფინანსდება სხვა აუტოიმუნური რევმატიული დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობა მაღალეფექტური მედიკამენტებით.

30%-ით გაიზარდა ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების პროგრამის ბიუჯეტი, ხოლო თითოეული პაციენტის დაფინანსების წლიური ლიმიტი 50 000 ლარამდე. გაიზარდა სოფლის ექიმებისა და ექთნების დანამატი. 2023-2024 წლებში ტრანსპლანტაციები ჩაუტარდა 47 პაციენტს. უწყებას დაემატა ახალი პროგრამა „აჭარის მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობისა და მემთეურთა ავადობის კვლევა“. გაიზარდა „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამის“ ფარგლებში სამინისტროს მხრიდან თანადაფინანსების წილი და ნაცვლად 40 000 ლარისა, ეკომიგრანტი ოჯახები 50 000 ლარით ფინანსდებიან.

- დღეს წარვადგინეთ ინფორმაცია აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესახებ, როგორც ჯანდაცვის, ასევე, სოციალური მიმართულებით. ვმუშაობთ მომდევნო წლის ბიუჯეტირებაზე. მიმდინარე პერიოდში ჩვენი ბიუჯეტი აღემატება 52 მილიონ ლარს და შემდგომ პერიოდში დაგეგმილი გვაქვს მისი გაზრდა დაახლოებით 10 მილიონი ლარით. 25-დან 30 მილიონამდე მხოლოდ ჯანდაცვის მიმართულებით იხარჯება. სამედიცინო სექტორში არ არსებობს მნიშვნელოვანი ჩარევა, რომელიც არ იფარება საყოველთაო ჯანდაცვის, ან საყოველთაო პროგრამების საშუალებით. რაც შეეხება პრიორიტეტულობას, რა თქმა უნდა, არის განსაზღვრული. ესენია: შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, სოციალურად დაუცველები, მარტოხელები, მარჩენალდაკარგულები და ასე შემდეგ, თუმცა, პრაქტიკულად, ჩვენი სამინისტროდან არცერთი ადამიანი არ მიდის საჭირო სერვისების მიღების გარეშე, - განაცხადა ნინო ნიჟარაძემ. მინისტრის ინფორმაციით, წელს სიახლე იქნება ის, რომ დაიწყება გენეტიკური დაავადების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების გენურ პროფილირებასთან დაკავშირებული კვლევების დაფინანსება.

შშმ სტატუსის მქონე 30 წლამდე პირებს დაუფინანსდებათ სტომატოლოგიური სამედიცინო მომსახურება. მისივე თქმით, იგეგმება 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარების, ასევე, ახალშობილი ტყუპების ოჯახების დაფინანსების გაზრდა. ამოქმედდება ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 120 000-დან 150 000 ქულამდე სოციალურად დაუცველ ოჯახებში 16 წლამდე ასაკის ბავშვების ფინანსურ დახმარებას.

მინისტრმა უპასუხა შეკითხვას ე. წ. ოცნების ქალაქთან დაკავშირებით, სადაც ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრისით დაკმაყოფილებას ბენეფიციარებში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა.

- მოსახლეობამ იცის, რომ ჩვენ ვმუშაობდით საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით და არსებობს 15 კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია იმ ჯგუფის პრიორიტეტულობა და რიგითობა, ვინც უპირატესად იქნა დაკმაყოფილებული. ეს პროცესი ისევ მიმდინარეობს, 200-ზე მეტი ოჯახი უკვე შერჩეულია და მათ იციან თავიანთი ბინის ნომერი. კრიტერიუმებიდან, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე როგორც ბავშვები, ასევე, ზრდასრულები, მრავალსულიანი ოჯახები, მარჩენალდაკარგულები. ასევე, სოციალური ქულა არის წამყვანი, ანუ, ვისაც დაბალი ქულა აქვს. რა თქმა უნდა, არის ის ჩამკეტი კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ხდება გამორიცხვა და ამ მხრივ მნიშვნელოვანია თვითმმართველ ქალაქებში ქონების არსებობა. ჩვენ მივყვებით ამ პროცესს, ვხვდებით ყველას, ვინც ვერ მოხვდა პირველ ეტაპზე და ვუხსნით, რომ არსებობს მეორე ეტაპის ვალდებულება, რასაც სახელმწიფო კისრულობს. ჩვენ, აგრეთვე, ვმუშაობთ საგარანტიო წერილების შინაარსზე, რომელსაც გავწერთ ამ ოჯახების შემდგომ ეტაპზე დაკმაყოფილებისთვის, - განაცხადა აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

მოხსენების შემდეგ მინისტრმა დეპუტატების შეკითხვებს უპასუხა. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ მადლობა გადაუხადა მინისტრს და მის გუნდს გაწეული დაუღალავი შრომისთვის. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, წარმატებები გვაქვს ქვეყანაში, ჯანმრთელობა, სოციალური დაცვა და სიღარიბე კვლავ რჩება მთავარ გამოწვევად. მის დასაძლევად აჭარის საკანონმდებლო ორგანოს მინისტრს მომავალშიც სრულ მხარდაჭერას დაჰპირდა.

უმაღლესმა საბჭომ მინისტრის მოხსენება ცნობად მიიღო.

სად გადის ზღვარი აშშ-ის საქართველოსთან ურთიერთთანამშრომლობასა და დასანქცირებას შორის?

2

«არჩევანი განაპირობებს საგარეო ვექტორს»

3

დღეს ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატი იხსნება!

9

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

სად გადის ზღვარი აშშ-ის საქართველოსთან ურთიერთთანამშრომლობასა და დასანქცირებას შორის?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

დღეს საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა აშშ-ის მხრიდან ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებისთვის სანქციების დაწესებაა, რაზე საუბარიც ჯერ კიდევ ერთი თვის წინ დაიწყო, როდესაც ევროპისა და ევრაზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ჯიმ ო' ბრაიენი საქართველოში იმყოფებოდა და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ მედიასთან განაცხადა, რომ ეს მოსალოდნელი იყო, თუ „გამჭვირვალობის შესახებ" კანონს პარლამენტი შესწორებების გარეშე მიიღებდა

„თუ ეს კანონი წინ წავა ისე, რომ შესაბამისობაში არ მოვა ევროკავშირის ნორმებთან და ძირი გამოეთხრება დემოკრატიას, იქნება მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალადობა, მაშინ ჩვენ ვიხილავთ აშშ-ის მიერ დაწესებულ გარკვეულ შეზღუდვებს", - თქვა ო' ბრაიენმა.

ამ განცხადებას მაშინ პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე გამოეხმაურა. მან თქვა, რომ სანქციებთან დაკავშირებით მასთან შეხვედრისას უნდა ესაუბრა და არა ჟურნალისტებთან ბრიფინგზე.

იმ დღეს, ბრაიენმა ასევე, აღნიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილს აშშ-ის სანქციები ამ ეტაპზე არ აქვს დაკისრებული, საპასუხოდ კი ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილი იმყოფება დე ფაქტო სანქციების ქვეშ.

საბოლოოდ, 6 ივნისს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა მეთიუ მილერმა ბრიფინგი საქართველოს საკითხზე განცხადებით გახსნა და თქვა, რომ აშშ სანქციებს უწესებს „ქართული ოცნების" გუნდიდან პარლამენტის წევრებს, ასევე, სამართალდამცველებს, კერძო პირებსა და სანქციირებულთა ოჯახის წევრებსაც. მან აღნიშნა, რომ ეს მხოლოდ პირველი ეტაპია და ამ სიაში დაახლოებით 20-დან 30-მდე პირია, თუმცა დაკონკრეტებული არაა. ვაშინგტონი მმართველი პარტიისგან ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გადახედვა-მოწესრიგებას მოითხოვს, სხვა შემთხვევაში დამატებითი ქმედებების გატარებას აპირებს.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, ურთიერთობის ეს ფორმა არც პარტნიორობას შეეფერება და ვერც ჩვენი ქვეყნის შიდა პოლიტიკას შეცვლის.

ამასთანავე, პარტნიორი ქვეყნის ეს ნაბიჯი „ქართული ოცნების" ხელისუფლებას ბევრ კითხვას უჩენს. მმართველი გუნდის განცხადებით, აშშ-სთან მრავალწლიანი მეგობრობის ფონზე საქართველოს ამგვარი დამოკიდებულება არ დაუმსახურებია. „ქართული ოცნების" წარმომადგენლები დარწმუნებულები არიან, რომ ვაშინგტონთან ურთიერთობის ნორმალიზება შესაძლებელია და საქართველოს საამისოდ მკაფიო პოლიტიკური ნება აქვს.

„ეს სანქციები ნიშნავს იმას, რომ არშემდგარ მაიდანს რაღაც გაგრძელება აუცილებლად უნდა ჰქონოდა. პრობლემურია, რომ ამბობ, უნდა დავასანქციირო, როცა შენ ამის არგუმენტი არ გაქვს. პარტნიორი ქვეყანა მხოლოდ კანონის გამო ითხოვს დასანქცირებას. დასანქცირების ეს ფორმა ბუნდოვანი, გაურკვეველი და ჩამოუყალიბებელია". - აღნიშნა „ქართული ოცნების" წევრმა ირაკლი ქადაგიშვილმა

პარლამენტის ვიცე-სპიკერ არჩილ თალაკვაძის თქმით, სანქციები საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ მხოლოდ და მხოლოდ საერთო მტრების ინტერესებში შედის.

> ***„ეს არის უპრეცედენტო ფაქტი, როდესაც დამოუკიდებელი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატებს უცხო ქვეყანა სანქციებს უწესებს საკუთარ ქვეყანაში მიღებული კანონის გამო. ესაა გაუგონარი ამბავი. ამას მეტროპოლიებიც კი არ აკეთებდნენ. ეს არის ნეოკოლონიალიზმის აშკარა გამოვლინება, რასაც აკეთებს აშშ***

თბილისის მერ კახი კალაძისთვის სანქციები სულაც არ აღმოჩნდა სანერვიულო.

„მე არ ვნერვიულობ ამაზე და თქვენც ნუ ინერვიულებთ", - განუცხადა „მთავარი არხის" ჟურნალისტს თბილისის მერმა. როგორც ჩანს, არც სხვა ლიდერებისთვისაა სანქციები აღელვების მიზეზი.

შეერთებულ შტატებში მიღებულ გადაწყვეტილებას სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „ხალხის ძალის" წევრებიც ეხმაურებიან. დიმიტრი ხუნდაძე ამბობს, რომ კანონმდებლის სანქცირება კანონის მიღებისთვის, მიუღებელია.

„ეს არის უხეში ჩარევა შიდასახელმწიფოებრივ საქმეებში და სახელმწიფო ინსტიტუტებზე ზეწოლა. როდესაც კანონმდებელი სანქცირდება კანონის მიღებისთვის, ეს, რა თქმა უნდა, მიუღებელია. ეს არის დემოკრატიის უკუსვლა და დასავლური დემოკრატიის შავი დღე. ჩვენ გვირჩევნია, ვიყოთ დასანქცირებული, ვიდრე ჩვენმა მოქალაქეებმა და ახალგაზრდებმა მიიღონ ომში გაწვევის ფურცლები. მმართველი გუნდი მიჰყვება იმ პოლიტიკას, რომ ქვეყანაში იყოს დაცული რეალური სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და არა დამოკიდებულება", - განაცხადა ხუნდაძემ.

ჩვენთან საუბარში „ხალხის ძალის" წარმომადგენელი ბათუმის საკრებულოში ნინო ცხვარაძე ოპოზიციონერებს, რომლებიც ამ თემაზე ბევრს საუბრობენ, მოუწოდებს, რომ ქვეყანაზე იფიქრონ და არა სანქციებზე.

„ჩვენი „მეგობრები" ორღობის ჭორიკანა ქალებს დაემსგავსნენ, ამდენად, სერიოზულად მეუხერხულება განცხადების გაკეთება, თუმცა ერთი რამ შემიძლია გითხრათ, თუ ვინმეა დასანქცირებული ხელისუფლებიდან, რატომ ახარებს ეს ფაქტი ოპოზიციას, ან თუ ოპოზიციაში, შეიძლება ითქვას, მმართველი პარტიის წევრების დასანქცირება ერთგვარ გამარჯვებადაც გამოცხადდა და ოპოზიციის წევრებს სიხარულიც მოჰგვარა. მათი თქმით, ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ჩვენი ქვეყანა არასწორ პოლიტიკურ გზაზე დგას და აღნიშნული სანქციები ქართველ ხალხს დააზარალებს.

„მიუხედავად იმისა, რომ ეს სანქციები წერტილოვანი და პერსონალურია, საბოლოო ჯამში, თავისი გადაცემის ეფექტი აქვს, რითაც ჩვენ ყველა ვზიანდებით", - განაცხადა პარტია „საქართველოსთვის" წევრმა დეპუტატმა მიხეილ დაუშვილმა. პარტია „ახალის" ლიდერი ნიკა მელია მომავალში კიდევ უფრო მკაცრ ზომებსაც არ გამორიცხავს.

„ეს არის ის ნაბიჯი, რომელიც მოსალოდნელი იყო და არც უკანასკნელია, რომელიც გადმოიდგა დასავლური ცივილიზაციის მხრიდან. როგორც ჩანს, ჩვენ ძალიან მალე ვიხილავთ კიდევ უფრო მკაცრ ზომებს", - განაცხადა მან.

პარტია „ლელოში" დაკისრებულ სანქციებს ქართველი ხალხის მხარდაჭერად მიიჩნევენ.

„ამერიკის შეერთებული შტატები არის ამ ქვეყნის მთავარი სტრატეგიული პარტნიორი და მისი მხრიდან დაწესებული სანქციები იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება არის მოღალატეობრივი და ამით ამერიკამ კიდევ ერთხელ გამოხატა ქართველი ხალხის მხარდაჭერა", - განაცხადა „ლელოს" აჭარის ორგანიზაციის წევრმა ვაჟა დარჩიამ.

პარტიაში „გირჩი - მეტი თავისუფლება" კი ამბობენ, რომ სანქციები უფრო გაიზრდება.

„მე მაქვს მოლოდინი, რომ ეს სანქციები გაიზრდება რიცხობრივად. უფრო მეტი ადამიანი იქნება დასანქცირებული. სანქციებმა იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკაზეც. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური სანქციები არ დაწყებულა, თუ შევხედავთ დოლარის კურსს, ამას მკაფიოდ დავინახავთ. დარწმუნებული ვარ, რომ პიროვნების მიმართ სანქციებიც მალე დაიწყება. ეს ზოგადად, ძალიან სამწუხაროა, რადგან ცუდად იმოქმედებს ქვეყანაზე და მე ეს უფრო მაღელვებს, ვიდრე „ოცნების" შეწუხება, რადგან მას უკვე აღარაფერი უშველის", - განაცხადა ჩვენთან საუბარში პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლების" აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თემურ გორგაძემ.

აღნიშნულ საკითხზე საუბრობენ ექსპერტებიც, თუმცა აზრი ამ შემთხვევაშიც ორად იყოფა. მათი მოსაზრებით, აშშ-ის მიერ სანქცირებულ პირებს ადრე თუ გვიან სანქციებს დაუწესებენ ევროპის ქვეყნებშიც, დასანქცირებულებს გაუჭირდებათ საფინანსო და ეკონომიკური კავშირების დამყარება ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში, მათი სახელით საერთაშორისო საბანკო გადარიცხვები შეუძლებელი გახდება - ანგარიშები დაყადაღდება, ბუნდოვანი იქნება სანქცირებულთა უძრავი ქონების მომავალი საზღვარგარეთ.

აშშ-ის ქმედებას მკაცრად აფასებს პოლიტიკის ექსპერტი ედიშერ გვენეტაძე.

„ეს არის უპრეცედენტო ფაქტი, როდესაც დამოუკიდებელი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატებს უცხო ქვეყანა სანქციებს უწესებს საკუთარ ქვეყანაში მიღებული კანონის გამო. ესაა გაუგონარი ამბავი. ამას მეტროპოლიებიც კი არ აკეთებდნენ.

ეს არის ნეოკოლონიალიზმის აშკარა გამოვლინება, რასაც აკეთებს აშშ. ეს იმას ნიშნავს, რომ აშშ-ის დღევანდელ ადმინისტრაციაში მძვინვარებს ტოტალიტარიზმი და იმაზეც მეტყველებს, რომ აშშ-ის იმპერია დასასრულს უახლოვდება. ამის ნიშნები სახეზეა და ეს აჩვენა ევროპარლამენტის არჩევნებმაც", - გვითხრა ედიშერ გვენეტაძემ.

გამოცემა „მოვემენტთან" ინტერვიუში ევროკავშირის ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ განაცხადა, რომ „აგენტების კანონის" საბოლოო დამტკიცების შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნები ყველა შესაძლო ზომას განიხილავენ და საბოლოო გადაწყვეტილებას ერთობლივად მიიღებენ ამ საკითხზე. მესამე და გადამწყვეტი შეხვედრა ივნისის ბოლოს არის დაგეგმილი.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, რომ ქვეყნის პირველ პირებს და მათ ახლობლებს ჩვენივე პარტნიორი ქვეყანა აშშ ასანქციირებს. საქართველოს იმიჯისთვის, რასაკვირველია, ძალიან ცუდია, თუმცა, შეიძლება ითქვას, ასევე, ცუდია ის, რომ ჩვენი მოკავშირე ქვეყანა სანქციების სახით ერევა საქართველოს პოლიტიკაში.

ნამდვილად იქნება თუ არა სანქციების მეორე ტალღა და სავიზო შეზღუდვების გარდა შეეხება თუ არა ეკონომიკასაც, ეს დროთა განმავლობაში გამოჩნდება. ვნახოთ, როგორ წარიმართება მოვლენები.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და გზების დეპარტამენტში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ ჯაბა ფუტკარაძესთან ერთად, სამინისტროს თანამშრომლებს ახალი მოადგილეები წარუდგინა. მინისტრის მოადგილედ პროფესიით ეკონომისტი უჩა სურმანიძე დაინიშნა, რომელსაც საჯარო სამსახურში მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება აქვს. მინისტრის მოადგილის კიდევ ერთი თანამდებობა პროფესიით იურისტმა მამუკა თურმანიძემ დაიკავა, რომელიც, 2022 წლიდან აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი იყო. საკადრო ცვლილებები შეეხო აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტსაც. უწყებას ამიერიდან სახელმწიფო სამსახურში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე გიორგი ცინარიძე უხელმძღვანელებს.

* * *

ღონისძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და აჭარის მთავრობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ხელმძღვანელმა პირებმა მეხანძრე-მაშველებს სიტყვით მიმართეს და წარმატებები უსურვეს. ღონისძიების ფარგლებში, სანაპირო ზოლზე გამოფენილი იყო წყალზე სამაშველო აღჭურვილობა, ავტოტექნიკა, მცურავი საშუალებები, ასევე საჰაერო და წყალქვეშა დრონები.ოფიციალური ცერემონიის დასასრულს, სტუმრებისთვის, განახლებული მცურავი საშუალებების, კერძოდ, სამაშველო სკუტერებისა და სწრაფმავალი კატარღების პრეზენტაცია გაიმართა. მეხანძრე-მაშველები, რომლებიც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად არიან აღჭურვილები, აჭარის რეგიონში, სრულად აითვისებენ შავი ზღვის სანაპირო ზოლს და გაუწევენ შესაბამის მონიტორინგს. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის ხელმძღვანელობით, ეკონომიკური საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელზეც მიმდინარე წელს დაგეგმილი პროექტები განიხილეს, ბიზნესის ხელისშემწყობი ღონისძიებების შესახებ იმსჯელეს. თორნიკე რიჟვაძემ ტურისტული ნაკადების, შემოსავლების, დასაქმების მიმართულებით არსებულ პროგრესს გაუსვა ხაზი. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის I კვარტალის მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში, ბრუნვა გაზრდილია 5%-ით, გამოშვება - 7%-ით, ხოლო დასაქმება - 3%-ით. მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება საშემოსავლო გადასახადიდან. 2024 წლის მაისში საშემოსავლო გადასახადიდან მიღებულმა შემოსავლებმა 49,6 მლნ ლარი შეადგინა, რაც გასული წლის მონაცემებს 12,2 მლნ ლარით აღემატება. როგორც შეხვედრაზე ითქვა, აჭარამ მზარდი ტურისტული დინამიკით დაიწყო 2024 წელი. გრძელდება სტრატეგიული მარკეტინგული ღონისძიებები როგორც მაღალმთიანი აჭარის ტურისტული მიზიდულობის, ისე აჭარის, როგორც ოთხი სეზონის დანიშნულების პოპულარიზაციის მიზნით. 2023 წელს შიდა და უცხოელი ვიზიტიორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა შეადგენს 4,6 მლნ ვიზიტს, რაც 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 20%-ითაა გაზრდილი.

იხ. მე-3 გვ.

„არჩევანი განაპირობებს საგარეო ვექტორს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საქართველო თავისი განვითარების ახალ, შეიძლება ითქვას, ურთულეს ფაზაშია, რასაც ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის, მმართველი გუნდისა და დასავლელი პარტნიორების ურთიერთობა განაპირობებს. ბოლო პერიოდში ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას პარლამენტის მიერ მიღებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს. იკვეთება პრობლემები, წინააღმდეგობები ევროინტეგრაციის გზაზე. რამდენიმე თვეში ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნებიც გაიმართება

როგორ წარიმართება პროცესები? რას უნდა ველოდოთ და როგორ ვიმოქმედოთ, ქვეყანამ დასახულ მიზანს რომ მიღწიოს? - სწორედ ამ საკითხებზე ვესაუბრეთ საჯარო მმართველობის დოქტორს, ბსუ-ის ლექტორ ***გიგა შარტენაძეს.***

- უმთავრესად რა მოვლენებზე გაამახვილებდით ყურადღებას?

- ბოლო ორი თვის განმავლობაში ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას პარლამენტში მიღებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს. ჩვენი ევროპელი და დასავლელი პარტნიორებისა თუ მეგობრების მხრიდან მოწოდებებისა და მასობრივი საპროტესტო აქციების მიუხედავად, ქვეყანამ გარისკა და სასწორზე დადო ევროპული ინტეგრაცია, რაც ცხადყოფს, რომ ამ კანონის მიღება და მიღების პროცესში პროტესტი არის ამ რეალობის წიგნის ერთი თავი, ხოლო კანონის მიღებიდან არჩევნებამდე პერიოდი იქნება მეორე და დასკვნითი ნაწილი, რომელიც იმაზე მეტად მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე გამჭვირვალობის კანონის იმ ფორმით მოქმედება, როგორითაც არის შემოთავაზებული. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოქტომბერში არჩევანი გაკეთდება არა პარტიებს შორის, არამედ განისაზღვრება ქვეყნის საგარეო ვექტორი.

- როგორც ცნობილია, პარლამენტმა დაძლია პრეზიდენტის ვეტო და საბოლოოდ მიიღო კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“...

- მოსალოდნელი იყო როგორც პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა, ასევე ამ კანონის მიღებაც, რადგან შარშან გაწვეული კანონი როდესაც წელს კვლავ აქტუალურია და მისი ინიცირება ხდება, ეს მეტყველებს იმაზე, რომ ამ კანონს, ნებისმიერი ძალისხმევის თუ წინააღმდეგობის მიუხედავად, ექნებოდა „დღის სინათლე“, თუმცა ეს „სინათლე“ რამდენად არის ჩვენი ქვეყნის ნათელი აწმყოს და ძლიერი მომავლის მანათობელი, რთული სათქმელია.

- საქართველოს პრეზიდენტმა მმართველი პარტია ანტიდასავლური კურსის გატარებაში დაადანაშაულა, ამავდროულად, ოპოზიციას „ქართული ქარტია“ წარუდგინა. თქვენი აზრი...

- საქართველოს თითოეული მოქალაქე ვალდებულია, დაიცვას ქვეყნის კონსტიტუცია, ქვეყნის კონსტიტუციის 78-ე მუხლი კი პირდაპირ მიგვითითებს, რომ ევროატლანტიკურ ოჯახში ინტეგრაციისთვის ყველაფერი გაკეთდეს - შესაბამისი დამაახლოებელი, მჭიდრო და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას. ჩვენ არ გვჭირდება ხელოვნურად შექმნილი ბარიერები ევროპასა და ცივილიზებულ სამყაროსთან, რადგან რუსეთის მიერ ქვეყნის ოკუპაცია, ჰიბრიდული და დეზინფორმაციული კამპანიები ისედაც ითვლება უდიდეს გამოწვევად ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე. „ქარტიას“ რაც შეეხება, იდეა, რომ ოპოზიციური სპექტრი ერთიანდება, კარგია, თუმცა კვლავ ბუნდოვანი რჩება და მთავარი კითხვა - როგორ, კონკრეტულად რა ნაბიჯებით აპირებს ამ „ქარტიის“ მიზნების განხორციელებას, პასუხგაუცემელია. „ქარტია“ რეალურად დაფუძნებულია არჩევნებში საჭირო მხარდაჭერის მიღების პირობაზე, რაც ნიშნავს, რომ რთულია საუბარი მის ეფექტურობაზე, რადგან „ქარტიას“ ძალა და აზრი მხოლოდ მაშინ ექნება, თუ ხელმომწერი პარტიები არჩევნებში მხარდამჭერების ხელშესახებ რაოდენობას მიიღებენ.

- პრაქტიკულად, მთელი დასავლეთი აკრიტიკებს „გამჭვირვალობის კანონს“, სანქციებიც დაუწესდა ათობით ადამიანს.

- რთულია განსაზღვრა, თუ რა გეგმა აქვს მმართველ პარტიას, რატომ მაინცდამაინც ახლა - არჩევნებამდე 5 თვით ადრე მიიღო ეს კანონი. რეალურად რომ ვიმსჯელოთ და თვალი გავუსწოროთ არსებულ მოცემულობას, კანონის მიღებით დიდი რეპუტაციული ზიანი მიადგა „ქართულ ოცნებას“ არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ასეთ პირობებში არჩევნებამდე მისვლა ნამდვილად არ არის მარტივი საქმე, რადგან საერთაშორისო პარტნიორების კრიტიკული რეაქციები პროდასავლურად განწყობილი ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილის პროტესტის ანარეკლია. რაც შეეხება სანქციების დაწესებას, როდესაც თავს თვლი „მეგობრად“ და „სტრატეგიულ პარტნიორად“, ხოლო ამის შემდეგ საკუთარ მეგობრებს და სტრატეგიულ პარტნიორებს არ უსმენ, არ იზიარებ და არ ითვალისწინებ მათ არცერთ თხოვნასა თუ მოწოდებას, ამას შეიძლება ჰქონდეს ორი ახსნა მოტივების დონეზე, მაგრამ შედეგების კუთხით მაინც ერთი და იგივე წონა აქვს: პირველი - თუ რეალურად მოქმედებ შენი ნების საწინააღმდეგოდ და გარემო ფაქტორებზე დაყრდნობით უჭერ მხარს, ეს ავტომატურად გამოიწვევს ურთიერთობებში ბუნდოვანებასა და გართულებებს, მეორე და უფრო საყურადღებო - თუ ეს მხარდაჭერა გააზრებული სურვილით ხდება და მიზანმიმართულად აზიანებ ორ მეგობარს შორის ურთიერთობებს, მესამე აქტორი კი ამით ბედნიერია და გაქებს. ალბათ, ასეთ დროს, ინტერესებიდან გამომდინარე, მეორე მხარე რას გიპასუხებს და რა ფორმით, სულ მცირე, ამ „მეგობრის“ გადასაწყვეტი იქნება, რადგან ბურთი შენი მოედნის ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადააგდე გააზრებული თუ გაუაზრებელი ქმედების გამო.

- საუბარია ვიზალიბერალიზაციის შეჩერებაზე. არის ეს მოსალოდნელი?

- ვიზალიბერალიზაცია საქართველომ დამსახურებულად მიიღო. მისი სრულად გადახედვა და გადასინჯვა, ამ ეტაპისთვის, რთულად წარმოსადგენია. აქ გასათვალისწინებელია ძალიან ბევრი სიღრმისეული ფაქტორი, რომლებიც ამ პროცესს ახლავს და დიდ დროს და შრომას მოითხოვს.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთის მიზანია, დასავლეთმა ხელი ჩაიქნიოს საქართველოზე.

- დასავლეთს შეუძლია იყოს უფრო მოქნილი და ეფექტური რუსეთის ბოროტების და სისხლისმღვრელი რეჟიმის წინააღმდეგ. დასავლეთმა ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა საქართველო, უკრაინა, სომხეთი, მოლდოვა... უნდა აჩვენოს იმ ტიპის მხარდაჭერა, რომ თავად ამ ქვეყნის მოქალაქეებს არ გაუჩნდეთ ნიჰილიზმი დასავლეთისადმი და აქტიურად გააგრძელონ თავიანთ ქვეყნებში დემოკრატიული, დამოუკიდებელი და თავისუფალებაზე აგებული სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, რაც ძლიერ და ინსტიტუციურად გამართულ სახელმწიფოდ გარდაგვქმნის.

- რამდენიმე თვეში ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება, ამ მხრივ რა სტადიაშია ხელისუფლება და ოპოზიცია?

- ხელისუფლება და ოპოზიცია, სულ მცირე, ორი თვეა, საარჩევნო რინგზე იმყოფება და რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, მით უფრო „მეტი უხეშობით“ გამოიჩენს თავს პოლიტიკური სპექტრი. ვგმობ და ყოვლად მიუღებლად, ამორალურად მიმაჩნია ის ძალადობრივი თუ დამცინავი, დამაკნინებელი და ღირსების შემლახველი კამპანია, რომელიც საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური შეხედულებისთვის ადამიანის დევნას, დაშინებას და შანტაჟს ისახავს მიზნად.

- მძლავრი ოპოზიციური პლატფორმის შექმნას თუ ვარაუდობთ?

- ვერ ვხედავ ერთი კონკრეტული ოპოზიციური პარტიის ირგვლივ ყველა სხვა დანარჩენი ოპოზიციური პარტიის გაერთიანების პერსპექტივას, მაგრამ ამ არჩევნებზე იქნება მხოლოდ პროდასავლური ფლანგი (ეს კი საერთო ექნებათ) და მეორე მხარეს - სხვა დანარჩენები. უფრო მეტიც, თუ ასე მოიქცევიან, ვფიქრობ, ოთხი წელი კვლავ უმცირესობით მოვლენ პარლამენტში. დღეის მდგომარეობით, ოპოზიციური სპექტრის ელექტორატი შეიძლება დავყოთ სამ ნაწილად: პირველი - „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები („ნაციონალური მოძრაობის“ „ძველი გვარდია“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“), მეორე - „ნაცების“ ერთი ფლანგისგან გამოყოფილი ამომრჩეველთა დიდი ნაწილი („ახალი“, „გირჩი“, „დროა“, დამატებით - ყოფილი სახალხო დამცველი და შესაძლოა - გიორგი მარგველაშვილიც) და მესამე - ანტინაცები, ანტიოცნება („პარტია საქართველოსთვის“, სალომე ზურაბიშვილი და სხვა პოლიტიკური ფიგურები). აღნიშნულ სამ მიზიდულობის ცენტრს, ვფიქრობ, ექნება „ქარტიის“ პრინციპების რეალიზების შანსები.

- რახან მმართველი პარტია და „ნაცმოძრაობა“ არ აპირებენ მომავალ პარლამენტში კოალიციურ რეჟიმში თანამშრომლობას, შემდგომში რა პროცესებია მოსალოდნელი?

- თუ ყველაფერი იმ სცენარით განვითარდა, როცა ერთიანად არ გადის ოპოზიცია, მაშინ ისინი ცალსახად მარცხდებიან და რჩებიან იმ სტატუს-კვოში, რაშიც ახლა არიან, ხოლო თუ ზემოთ დასახული გეგმა მოქმედებს, კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება გარდაუვალი იქნება.

- გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ არც მმართველ პარტიასა და არც „ნაცმოძრაობასთან“ ალიანსში არ შევა. რას იტყვით ამ პარტიის მიზანზე არჩევნებში?

- გახარიას პარტიას „საქართველოსთვის“, ვფიქრობ, ამ ეტაპზე ცოტა ჩამოყალიბება აკლია, ნაწილობრივ ბუნდოვანია მათი მოქმედება, ხუთპროცენტიანი ბარიერი ძალიან სერიოზული გამოწვევაა ყველა პარტიისთვის. დღეს ყველაფერი ზედაპირზე დევს: წინა არჩევნებს თუ გადავხედავთ, გახარიას პარტიას სერიოზული სამუშაო აქვს იმ შემთხვევაში, თუ დამოუკიდებლად გავა არჩევნებზე.

- დაბოლოს საგარეო საკითხსაც შევეხოთ: რა გავლენა ექნება რუსეთის ფიასკოს ან ომის გაყინვას უკრაინაში?

- რუსეთის ფიასკო არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან უკრაინელი, მოლდოველი, ქართველი, სომეხი ხალებხისთვის ამას დომინოს ეფექტი ექნება, რაც საბოლოოდ დაასრულებს, დაამსხვრევს მითს რუსეთის უძლეველობის შესახებ. დარწმუნებული ვარ, ეს გახდება საბაბი ჩვენი ქვეყნების დეოკუპაციისა და, საბოლოოდ, საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას დაჩქარებს.

> ***„დასავლეთს შეუძლია იყოს უფრო მოქნილი და ეფექტური რუსეთის ბოროტების და სისხლისმღვრელი რეჟიმის წინააღმდეგ. დასავლეთმა ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა საქართველო, უკრაინა, სომხეთი, მოლდოვა... უნდა აჩვენოს იმ ტიპის მხარდაჭერა, რომ თავად ამ ქვეყნის მოქალაქეებს არ გაუჩნდეთ ნიჰილიზმი დასავლეთისადმი და აქტიურად გააგრძელონ თავიანთ ქვეყნებში დემოკრატიული, დამოუკიდებელი და თავისუფალებაზე აგებული სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, რაც ძლიერ და ინსტიტუციურად გამართულ სახელმწიფოდ გარდაგვქმნის“***

ქრონიკა

მე-2 გვერდიდან

* * *

ზაფხულის ტურისტული სეზონის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე ტურიზმის ხელშეწყობის და სტიმულირების გეგმა განიხილეს. თორნიკე რიჟვაძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, კოორდინირებული მუშაობით ტურიზმის სფეროში არსებული დადებითი დინამიკის შენარჩუნება, რათა აჭარა ოთხივე სეზონზე მიმზიდველი იყოს. დაიგეგმა მნიშვნელოვანი აქტივობები მაღალმთიან აჭარაში ტურისტული ნაკადების კიდევ უფრო გაზრდის მიზნით. 2023 წელს შიდა და უცხოელი ვიზიტიორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა შეადგენს 4,6 მლნ ვიზიტს, რაც 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 20%-ით, ხოლო 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით - 10.4 %-ით.

* * *

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში „ოცნების ქალაქში“ მცხოვრებ ოჯახებზე საცხოვრებელი ფართების გადაცემის პროცესი გრძელდება. ამ დრომდე ბინები სპეციალური კომისიის მიერ შემუშავებული კრიტერიუმებით შერჩეულ 108 ოჯახზე გადანაწილდა. ოჯახებს ბინების მიღება აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ მიულოცა. ბინების განაწილების პროცესი შემდეგ დღეებშიც გაგრძელდება. სამინისტრომ უკვე აცნობა იმ ოჯახებს, რომლებიც საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდებიან. ჯამში პირველ ეტაპზე ბინას 582 ოჯახი მიიღებს. სამი მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა და კეთილმოწყობა „ოცნების ქალაქში“ უკვე დასრულებულია.

* * *

15-16 ივნისს ბათუმი „ზაფხულის ფესტივალს“ უმასპინძლებს. ულამაზესი საზაფხულო-საზღვაო დეკორაციებითა და ინსტალაციებით გაფორმებულ საფესტივალო სივრცეში სტუმრებს საშუალება ექნებათ გაერთონ, დაისვენონ და მრავალფეროვან მუსიკალურ შოუს დაესწრონ. ფესტივალი 15 ივნისს, 18:00 საათზე, დრამერების შოუთი და პანტომიმის მსახიობების კოსტიუმირებული მსვლელობით გაიხსნება. მუსიკალური პროგრამის პარალელურად, რომელშიც ადგილობრივი და მოწვეული ბენდები მონაწილეობენ, ბავშვებისთვის ჩატარდება თითების თეატრი, სთრით არტი, ილუზიონისტების შოუ, თიხის ძერწვის მასტერკლასები და სხვა აქტივობები. „ზაფხულის ფესტივალი“ ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართება. ამ ღონისძიებით ტურისტული სეზონი ოფიციალურად გაიხსნება.

* * *

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეებმა არჩილ ბერიძემ და ირმა აფხაზავამ ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ ჩაქვის სანერგე სადემონსტრაციო ნაკვეთი დაათვალიერეს და არსებულ სიტუაციას ადგილზე გაეცნენ. მათთან ერთად იმყოფებოდნენ აგრარული განვითარების დეპარტამენტის უფროსი ლევან ბოლქვაძე, აგროსერვისცენტრის დირექტორი რაულ თავართქილაძე და მოადგილე იოსებ აბულაძე. სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრის მოადგილეები იყვნენ ციტრუსოვანი კულტურების სათბურიზოლატორში, სადაც სამმავლოდ იგეგმება უვირუსო, ციტრუსის პერსპექტიული ჯიშების წარმოება. მათ ასევე მოინახულეს ქობულეთის მუნიციპალიტეტში გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობა, სადაც გაშენებულია მოცვის, კივის, ტყემლისა და კენკროვნების სხვადასხვა კულტურა.

მოამზადა
ხატია იაშვილმა

„სპორტსმენებზე ზრუნვა ღონისძიებათა ფართო სპექტრს მოიცავს, ამისთვის საჭირო ნებაც და სათანადო რესურსიც გვაქვს“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენმა სპორტსმენებმა საქართველოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, ჯამში, უკვე 105 მედალი მოიპოვეს. ისინი წარმატებით ასპარეზობენ ჭიდაობის ყველა სახეობაში, გვყავს როგორც საქართველოს ჩემპიონები, ასევე, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები და პრიზიორები. გაიზარდა სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებზე გასაცემი ერთჯერადი ჯილდოების თანხა, დაწესდა ყოველთვიურად გასაცემი სტიპენდიებიც, რომელსაც საქართველოს ჩემპიონები ყველა ოლიმპიურ სახეობასა და ყველა ასაკობრივ კატეგორიაში მიიღებენ. აჭარის ბიუჯეტიდან ამისთვის დამატებით 80 000 ლარი უნდა გამოიყოს. ამ თემასთან დაკავშირებით უფრო ვრცლად განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ***ბადრი ნაკაშიძე*** *გვესაუბრება.*

- ბატონო ბადრი, სპორტული მიღწევებით დავიწყოთ. რა წარმატებებით გამოირჩევიან წელს ჩვენი რეგიონის სპორტსმენები?

- ჯერ კიდევ წლის შუა პერიოდში ვართ და ჩვენმა სპორტსმენებმა საქართველოსა და ევროპის ჩემპიონატებზე უკვე 105 მედალი მოიპოვეს, მათ შორის 35 - პირველი, 34 - მეორე და 36 მესამე ადგილი. ჩვენ გვყავს ევროპის ჩემპიონი ათლეტიზმში თემურ სამხარაძე, რომელმაც ჩემპიონატიც მოიგო და 17 მსოფლიო რეკორდიც დაამყარა ერთდროულად. კონტაქტურ კარატეში დავით მსხალაძე, მინდია მგელაძე, ნიკა ნაგერვაძე, დიმიტრი მსხალაძე გახდნენ ევროპის ჩემპიონები, რაც ჩვენთვის ისტორიული შედეგია. მკლავჭიდში გვყავს შვიდი ევროპის ჩემპიონი, მათ შორის არიან ჩვენი სახელოვანი გოგონები - მარინე ფუტკარაძე, მარიამ ნოდია, ანა მგელაძე, ნათია ჩხაიძე. წარმატებით ასპარეზობენ ჩვენი სპორტსმენები ჭიდაობის ყველა სახეობაში, გვყავს როგორც საქართველოს ჩემპიონები, ასევე, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები და პრიზიორები. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ჩვენი რეგიონის სპორტსმენები პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირებზე კრივში, ძიუდოში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ტაეკვონდოში, ბილიარდში, მშვილდოსნობაში, ბადმინტონში, წარმატებით გამოდიან კალათბურთელები, ფრენბურთელები... წელი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, წინ არის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები, ასევე, პარიზის ოლიმპიადა. გვჯერა, ჩვენი სპორტსმენები კიდევ არაერთხელ ასახელებენ რეგიონს და საქართველოს.

- პარიზის ოლიმპიადაზე აჭარიდან გვყავს მონაწილეები?

- ამჯერად მხოლოდ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში - რამაზ ზოიძე. მართალი გითხრათ, ამ მხრივ უფრო მეტის მოლოდინი გვქონდა, მაგრამ სალიცენზიო კონკურენცია წელს ძალიან მაღალი იყო. რამაზს წარმატებებს ვუსურვებ, ძალიან მოტივირებულია. სამომავლოდ, ვფიქრობ, უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ოლიმპიურ სახეობებში სპორტსმენთა მომზადებისა და შეჯიბრებების სწორად დაგეგმვას. კარგი იქნება, თუ შესაბამისი ფედერაციები იფიქრებენ გასვლითი შეკრებების რაოდენობისა და ხანგრძლივობის გაზრდაზეც.

- სპორტსმენთა მოტივაციის გაზრდაზე ხომ არ გიფიქრიათ?

- როგორც იცით, შარშან მნიშვნელოვნად გავზარდეთ წარმატებულ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებზე გასაცემი ერთჯერადი ჯილდოების თანხა. ცვლილების თანახმად, მაგალითად, ოლიმპიური ჩემპიონი მიიღებს 100 000 ლარს, მსოფლიო ჩემპიონი - 40 000-ს, ევროპის ჩემპიონი კი 20 000 ლარს. ასევე, დავაწესეთ მათზე ყოველთვიურად გასაცემი სტიპენდიები ყველა ასაკობრივ კატეგორიაში ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონებსა და პრიზიორებზე შესაბამისი სტატუსის ფლობის განმავლობაში. წელს კიდევ უფრო გავზარდეთ სტიპენდიების ბენეფიციარ სპორტსმენთა და მწვრთნელთა რაოდენობა. კერძოდ, ამ პროგრამის ახალი კომპონენტის თანახმად, სტიპენდიებს მიიღებენ საქართველოს ჩემპიონებიც ყველა ოლიმპიურ სახეობასა და ყველა ასაკობრივ კატეგორიაში. ამისათვის აჭარის ბიუჯეტიდან დამატებით 80 000 ლარი გამოიყოფა. ცვლილების თანახმად, სტიპენდიებს მიიღებენ საქართველოს მოქმედი ჩემპიონები, მიუხედავად იმისა, თუ როდის მოიპოვეს მათ ეს ტიტული - წელს თუ შარშან. ზოგადად, მინდა გითხრათ, რომ სპორტის განვითარება და სპორტსმენებზე ზრუნვა მოიცავს ღონისძიებათა ფართო სპექტრს და ჩვენ გვაქვს ამისათვის საჭირო ნებაც და სათანადო რესურსიც.

- სპორტული ინფრასტრუქტურის მხრივ რა სიახლეებია?

- მთავარი სიახლეა ჩაქვში ახლახან ამოქმედებული თანამედროვე სტანდარტების ძალოსნობის კომპლექსი. გარდა საშეჯიბრო და სავარჯიშო დარბაზებისა, კომპლექსი მოიცავს 25-ადგილიან სასტუმრო ბლოკს, კვების ობიექტს, დასასვენებელ სივრცეს. აქ შეიძლება ნებისმიერი დონის შეჯიბრებისა და შეკრების მასპინძლობა. იქ უკვე ვარჯიშობს საქართველოს ეროვნული ნაკრები. ნიშანდობლივია, რომ ძალოსანთა კომპლექსის გახსნას ესწრებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სახელმწიფოს მიერ სპორტისა და სპორტსმენების უპირობო მხარდაჭერის პოლიტიკას. გარდა ამისა, წელს დასრულდება 1500 მაყურებელზე გათვლილი ბათუმის ყინულის სასახლის ძირეული რეაბილიტაცია, მომავალი წლისათვის ველოდებით 800 მაყურებელზე გათვლილი საცურაო აუზის მშენებლობის დასრულებას, რომელიც ოლიმპიური სტანდარტების დაცვით შენდება. ჩაქვში დასრულების სტადიაშია რაგბის თანამედროვე სტადიონის მშენებლობა, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომში ამოქმედდა ახალი სპორტული დარბაზი, ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. საერთო ჯამში, მხოლოდ აჭარის ბიუჯეტიდან ბოლო წლების განმავლობაში დაიხარჯა ნახევარ მილიარდ ლარზე მეტი რეგიონში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, რაც ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის, სპორტისა და სპორტული ტურიზმის განვითარების, საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად წარმოჩენის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

- ბათუმი სპორტული ღონისძიებებით გამორჩეული ქალაქია. წელს რა მნიშვნელოვან ტურნირებს მასპინძლობთ?

- გეთანხმებით, ბათუმი ნამდვილად გამორჩეული სპორტული ქალაქია. მას მინიჭებული აქვს ევროპის სპორტული ქალაქის სტატუსი, აჭარას - საქართველოს ყველაზე წარმატებული სპორტული რეგიონის. ჩვენ ამას აღვიქვამთ როგორც პასუხისმგებლობას და არა როგორც პრივილეგიას. ყოველწლიურად 30-მდე მაღალი კატეგორიის საერთაშორისო ჩემპიონატსა და ტურნირს ვმასპინძლობთ. ამ მხრივ ეს წელიც გამორჩეულია. კერძოდ, 17-21 ივლისს ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი ქვიშის ფეხბურთში, 22 ივნისიდან 2 ივლისამდე გაიმართება მსოფლიო თასი ჭადრაკში, 25-28 ივლისს ვმასპინძლობთ ევროპის ჩემპიონატს ბილიარდში, 30 ივნისიდან 3 ივლისამდე პირველად გაიმართება ასპარეზობა შავი ზღვის თასზე ძიუდოში, ასევე, პირველად აჭარაში, ჩატარდება საერთაშორისო ფალავნობა ქართულ ჭიდაობაში, ტრადიციული საერთაშორისო ტურნირები კონტაქტურ კარატეში, სპორტულ ცეკვებში, შერეულ ორთაბრძოლაში, ახალგაზრდული საერთაშორისო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში, ბავშვთა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, საერთაშორისო ტურნირი კრივში. ასე რომ, სპორტის მოყვარულებს აქვთ კარგი შესაძლებლობა, თავიანთი გემოვნების მიხედვით შეარჩიონ შესაბამისი სახეობები და უქმიანგონ ჩვენს სპორტსმენებს.

- ახლახან, ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია სპორტული მედიცინის თემატიკაზე. თუ შეიძლება, ამაზეც ისაუბრეთ.

- სიამოვნებით. ეს იყო პირველი სამეცნიერო კონფერენცია ჩვენს რეგიონში, რომელიც მთლიანად მიეძღვნა სპორტულ მედიცინას. ის საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და ჩვენი სამინისტროს პარტნიორობით ჩატარდა. მისი ორგანიზატორია სპორტული მედიცინის მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს პარლამენტის სპორტის კომიტეტი. ჩვენ დიდი ინტერესით ვმონაწილეობდით ამ კონფერენციაში, სადაც წამყვანმა უცხოელმა სპეციალისტებმა წარმოადგინეს მოხსენებები სპორტული მედიცინის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა ინოვაციური მიდგომები სპორტული ტრავმების მკურნალობაში, სპორტსმენთა ფიზიკური და მენტალური გამძლეობის გაზრდის თანამედროვე ტექნოლოგიები, პარასპორტსმენების შესაძლებლობების გაუმჯობესება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, მოსახლეობის ფიზიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის გზები და სხვა. ეს ისეთი საკითხებია, იმდენად ფაქიზი და ყურადსაღები, რომ მხოლოდ ზოგადმა წარმოდგენამ, დეტალების ცოდნის გარეშე, შესაძლოა, საქმე უფრო დააზიანოს, ვიდრე გამოაკეთოს. ამიტომ, მომხსენებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, წარმოდგენილი მასალები იყო ზედმიწევნით დეტალური და საინტერესო.

- რა პრაქტიკული შედეგები შეიძლება ჰქონდეს ამ კონფერენციას?

- როგორც წესი, კონფერენცია და სემინარები თეორიული ხასიათისაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგებიც. ჯერ ერთი, კმაყოფილებით მსურს აღვნიშნო, რომ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. მათ ჰქონდათ კარგი შესაძლებლობა, ერთი მხრივ, გაეზიარებინათ საკუთარი მოსაზრებები და გამოცდილება, ასევე, მოესმინათ სპორტული მედიცინის სფეროში მსოფლიოს წამყვანი ექსპერტების ხედვები, გაეგოთ ამ სფეროში არსებული თანამედროვე მიღწევების შესახებ. ეს მათ შეუძლიათ გამოიყენონ სამეცნიერო კვლევებში, შემდგომ კი პრაქტიკულ საქმიანობაშიც. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ჩვენს რეგიონში სპორტული მედიცინის განვითარებას. გარდა ამისა, კონფერენციის ფარგლებში შედგა ძალიან საინტერესო შეხვედრა საქართველოში მოქმედ საგანმანათლებლო დაწესებულება „სეტანტა აკადემიის“ უცხოელ და ადგილობრივ წარმომადგენლებთან. ეს აკადემია არის ირლანდიის წამყვანი სპორტულ-საგანმანათლებლო დაწესებულება „სეტანტა კოლეჯის“ ნაწილი, რომელიც გვთავაზობს სპორტში დასაქმებული პერსონალისათვის კურსების ფართო სპექტრს - წვრთნის პროცესიდან ფინანსურ მენეჯმენტამდე. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ექსპერტებს აქვთ დიდი ბრიტანეთის პრემიერლიგის წამყვან საფეხბურთო და სარაგბო კლუბებთან მუშაობის გამოცდილება. ისინი მზად არიან, საქართველოშიც ჩაატარონ მაღალკვალიფიციური სწავლება ყველა დაინტერესებული პირისათვის და გასცენ შესაბამისი სერტიფიკატები. დისკუსიის მსვლელობისას გაირკვა, რომ სპორტული განათლების სფერო საქართველოში საჭიროებს დამატებით რეგულაციებს. შესაბამის ინიციატივებზე ისაუბრა პარლამენტის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილმა.

- მომავალში თუ იგეგმება მსგავსი ღონისძიებები?

- დიახ. სპორტული განათლება ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამიტომ მიმდინარე წლის სექტემბერში ვგეგმავთ ბათუმში საერთაშორისო სპორტული ფორუმის ჩატარებას. ამაზე უკვე მუშაობს სპორტის დეპარტამენტი. ეს იქნება მასშტაბური ღონისძიება, სადაც ქართველ სპეციალისტებთან ერთად სპორტის განვითარების სხვადასხვა მიმართულებაზე მოხსენებებით წარსდგებიან მსოფლიო დონის სპორტის უცხოელი ექსპერტები. ფორუმს დაესწრებიან აჭარის ყველა მუნიციპალიტეტის სპორტის სფეროში დასაქმებული პირები, სპორტსმენები, მწვრთნელები, რომლებსაც ექნებათ შესაძლებლობა, ჩაერთონ ფორუმის მუშაობაში, მონაწილეობა მიიღონ განხილვებში, მიღებული ცოდნა კი გამოიყენონ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში. ერთ მნიშვნელოვან პროგრამაზეც ვიტყვი ორიოდ სიტყვას. წელს პირველად დავნერგავთ ფედერაციებთან ურთიერთობებში მართვის ელექტრონულ ფორმას. იგი გულისხმობს შესაბამისი პროგრამის შესყიდვას, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ელექტრონულად მივიღოთ ყველა საჭირო ინფორმაცია ფედერაციების მიერ დაგეგმილი თუ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. გვექნება სრული ინფორმაცია, თუ სად და რამდენი სპორტსმენი ვარჯიშობს ამა თუ იმ სახეობაში, მათი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, სად და რა პერიოდით გადიან საწვრთნო შეკრებებს, რა შეჯიბრებებში მონაწილეობენ, რა მიღწევები აქვთ, ვინ მიიღო ჯილდო, ვინ - სტიპენდია. ასევე, სრულად გადავალთ დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ ფორმაზე. ყოველივე ეს ფედერაციებს გაუადვილებს მართვას როგორც ფედერაციის შიგნით, ასევე, უფრო მარტივს გახდის ურთიერთობებს სპორტის დეპარტამენტთან და სამინისტროსთან.

- ეს ინფორმაცია მხოლოდ სამსახურებრივი გამოყენებისათვისაა ხელმისაწვდომი?

- არა მხოლოდ. საზოგადოებისათვისაც. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება შესაბამის საიტზე შესვლა და ინფორმაციის მიღება, თუ ეს არ უკავშირდება პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებას. არ მინდა, მკითხველს დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენ დღემდე არ ვფლობდით ამ ინფორმაციას. რა თქმა უნდა, ვფლობთ, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, ეს ციფრები ცვალებადია და მუდმივ განახლებას მოითხოვს. დღეს ეს ხდება ხელოვნურად, უფრო მეტი დროისა და რესურსის ხარჯვით. გარდა ამისა, ხშირად დოკუმენტების წარმოსადგენად ფედერაციების ხელმძღვანელებს უწევთ მოსვლა დეპარტამენტში, კონსულტაციების გავლა, შემდეგ დოკუმენტების გასწორება-მომზადება და ისევ მოსვლა. ამ პროგრამის დანერგვის შემდეგ ყოველივე ეს შესაძლებელია ოფისიდან, მარტივად და დროულად.

- თავად ფედერაციებს აქვთ რესურსი, რომ გადაერთონ მართვის ასეთ მეთოდზე?

- ფედერაციების ძირითად ნაწილს, შესაძლოა, არ ჰქონდეს ამის შესაძლებლობა. ჩვენ გავითვალისწინეთ ეს გარემოებაც. ამიტომ ჩვენივე ბიუჯეტით ვთავაზობთ მათ შესაბამის გადამზადებასა და ორგანიზაციულ-მატერიალურ მხარდაჭერას. დეტალებზე ჯერ არ ვისაუბრებ.

> *30 ივნისიდან 3 ივლისამდე პირველად გაიმართება ასპარეზობა შავი ზღვის თასზე ძიუდოში, ასევე, პირველად აჭარაში, ჩატარდება საერთაშორისო ფალავნობა ქართულ ჭიდაობაში, ტრადიციული საერთაშორისო ტურნირები კონტაქტურ კარატეში, სპორტულ ცეკვებში, შერეულ ორთაბრძოლაში, ახალგაზრდული საერთაშორისო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში, ბავშვთა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, საერთაშორისო ტურნირი კრივში*

„სოფლებში მინიმუმამდეა დასული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების რაოდენობა“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მურად ძათამაძე შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ბარათაულისა და წყალსაყრის თემების მაჟორიტარი დეპუტატია, ამასთან, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე. იგი თავის საქმიანობაზე გვესაუბრება



- უკვე მეორედ ვარ არჩეული მაჟორიტარ დეპუტატად. 13 სოფლისა და რამდენიმე დასახლებული უბნის ამომრჩეველმა დამიჭირა მხარი. ადამიანი მხარს რომ გიჭერს, შენგან მეტ მუშაობას, თანადგომას ელის. ვცდილობ, ნდობა გავამართლო. დღეს არსებითად შეიცვალა როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე მის ფარგლებს გარეთ პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობა. რუსეთ-უკრაინის ომმა, საქართველოში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებამ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე უკეთ წარმოაჩინა საქართველოს როლი და ადგილი. ცოტა ადრე, 17 მაისს, თბილისში და ქვეყნის წამყვან ქალაქებში გამართულმა აქციებმა გვაჩვენა ქართველი ხალხის დამოკიდებულება სამშობლოსა და ეროვნული იდენტობისადმი, ერთგულება ოჯახისა და ოჯახური ტრადიციებისადმი. ამ პროცესებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ის ამომრჩევლები, რომლებიც მმართველი პარტიის მხარდამჭერები არიან. მეთვალყურისა და მაკონტროლებლის როლში ვერ დავრჩები. ვიყავი აქციებზე თბილისშიც, ბათუმშიც და თუ საჭიროება მოითხოვს, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის გვერდით ისევ დავდგები.

- სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე მუშაობაზე რას იტყვით?

- მისასალმებელია, რომ 13-ივე სოფელში მინიმუმამდეა დასული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების რაოდენობა. შორეულ ნაღვარევსა და ინწკირვეთში, ვანსა და ბრილში მოსახლეობა ჩვეული წესით აგრძელებს შრომას, ქმნის დოვლათს, რაც ოჯახებსა და ქვეყანას სასიკეთოდ წაადგა. ქვეყნის ტურისტულ რუკაზე უკვე მონიშნულია ხაბელაშვილების ხის ხიდი, ნაღვარევში - ლელთის ტბა, ზღვის დონიდან 1900 მეტრზე მაღლა მდებარე „ჯვარიმინდორი“, „წისქვილების სოფელი“ და სხვა. „ქართული ოცნების“ მმართველობაში მოსვლის შემდეგ, ეთნოგრაფიული მუზეუმი გაიხსნა სოფელ ხაბელაშვილებში. უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტიორების რაოდენობის გაზრდის, მათი ადგილობრივი კულინარიით დაინტერესების მიზნით, ახალგაზრდა ქალები გადამზადდნენ და დასაქმდნენ, რაც აისახა კიდეც თითოეული ოჯახის ბიუჯეტზე. იხსნება საოჯახო სასტუმროები. არსებითად გაუმჯობესებულია ქვეყნის, რეგიონის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა სოციალური პროექტებისადმი. წელს დასრულდება ხიჭაური-ნაღვარევის საავტომობილო გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება. ორივე მხრიდან მოასფალტებული საავტომობილო გზით მისვლა შესაძლებელია კუროორტ გომარდულში. აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით გაგრძელდება ვანში, ინწკირვეთში, ზემოხევში, ბრილში მისასვლელი გზების კეთილმოწყობის სამუშაოები. წლებია, თავს იწონებენ სოფელ ნაღვარევში მისასვლელ გზაზე, გიდელას ხევში გაკეთებული 68-მეტრიანი ხიდით, საიდანაც საოცარი სილამაზის ხედი ჩანს. ისიც სათქმელია, რომ ეს საკომუნიკაციო საშუალება ვერ ატარებდა დიდი ტვირთამწეობის მანქანებსა და მძიმეწონიან ტექნიკას. შარშან ხევში ახალი ხიდი აიგო, რომლის მშენებლობაზე 800 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა. სოფელ ნაღვარევის ცენტრიდან ძაღიანის უბანში მისასვლელ გზაზე მოსახლეობა ხიდის გაკეთებას ითხოვდა. პროექტისთვის 300 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის მხარდაჭერით, ბეტონის საფარის დაგება დაწყებულია ხაბელაშვილები-თაგინურის გზაზე. ჭვანის ხეობის მოსახლეობა ზაფხულში პირუტყვს აჭარა-გურიის ქედების კალთებზე აძოვებს. გრძელგორის, კატრიანის, ყავრიანის, კიკიბოს, ტყისველას, მერიაყელის, ლეკნარის იაილებში, „ქართული ოცნების“ მმართველობაში მისვლის შემდეგ დენი გავიყვანეთ, მოწესრიგდა შიდა გაყვანილობა. წელს დაგეგმილია კუროორტ ბახმაროს მიმდებარედ, შედრეკილის იალაღზე შიდა ქსელის მოწესრიგება. ამ პროექტების წამოწყებაგანხორციელებაში ჩემი წვლილიცაა. მუნიციპალიტეტის, რეგიონის ხელმძღანელობისგან მხარდაჭერა მაქვს. წელს გვპირდებიან, რომ მოწესრიგდება ბარათაული-ვანი-გორას საავტომობილო გზა. გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით დაიწყო გიდელას ხევიდან სასმელი წყლის გამოსაყვანად მაგისტრალის მშენებლობა. ბარათაულისა და წყალსაყრის ადმინისტრაციული ერთეულების რამდენიმე სოფლის მოსახლეობა სასმელ წყალს უწყვეტ რეჟიმში მიიღებს. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ და ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით, სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა მიმდინარეობს. ღია სპორტული მოედნები გაკეთდა ნაღვარევში, გომარდულში, ბრილში.

> ” *შარშან ხევში ახალი ხიდი აიგო, რომლის მშენებლობაზე 800 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა. სოფელ ნაღვარევის ცენტრიდან ძაღიანის უბანში მისასვლელ გზაზე მოსახლეობა ხიდის გაკეთებას ითხოვდა. პროექტისთვის 300 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის მხარდაჭერით, ბეტონის საფარის დაგება დაწყებულია ხაბელაშვილები-თაგინურის გზაზე*

- სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხრივ რა მდგომარეობაა?

- სამსაფეხურიანი საჯარო სკოლები გვაქვს ხაბელაშვილებში, ბრილში, ბარათაულში, ინწკირვეთში, ნაღვარევში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შეკეთდა ხაბელაშვილების, გომარდულის სკოლების შენობები. სარემოტო სამუშაოები მიმდინარეობს ბარათაულის სკოლის სპორტულ დარბაზსა და საკლასო ოთახებში. თანხები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტიდანაა მობილიზებული. ისიც სათქმელია, რომ შორეულ სოფელ ბრილის ცენტრის, სხვა ინფრასტრუქტურის კეთილმოსაწყობად მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა, მაგრამ თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს საჯარო სკოლის შენობა. სოფელმა საგანმანათლებლო კერის აღდგენიდან 90 წლის იუბილე რომ გადაიხადა, მაშინაც ითხოვეს ახალი შენობის აგება, მაგრამ... სხვა სკოლებისგან განსხვავებით, აქ მოსწავლეთა კონტინგენტიც საკმაოა. რაც შეეხება სკოლამდელ დაწესებულებებს, ჩემს სამაჟორიტარო ოლქში, ჯერჯერობით, ბაღები ბარათაულსა და ხაბელაშვილებში გვაქვს. ალტერნატიული ბაღი მოქმედებს ნაღვარევში. თავის დროზე ბარათაულის ბაგა-ბაღი ყოფილი საფოსტო განყოფილების შენობაში გაიხსნა. იგი ახლაც ოთხი სოფლის პატარების სამსახურშია, მაგრამ თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, შენობისა და ეზოს კეთილმოწყობისთვის ზრუნვა კი უკვე დაიწყეს. ხაბელაშვილების საბავშვო ბაღის შენობა თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაშია.

- 13-ივე სოფელს ტყე აკრავს. რა კეთდება ბუნებრივი რესურსების, კერძოდ, ტყის დაცვა-შენარჩუნებისთვის?

- ნაღვარევის, ხაბელაშვილების, ინწკირვეთის, ვანის, ნაგომრის შემოგარენში კვლავ რჩება ტყის (წიწვოვნები, ფოთლოვნები) მასივები, სადაც სანიტარიული ჭრები აქამდე არ ჩატარებულა და საავტომობილო გზებიც არაა გაყვანილი. გარემოს დაცვის, სატყეო სააგენტოების მესვეურნი ყველა ღონეს ხმარობენ არსებული რესურსების შენარჩუნებისა და ზომიერი ჭრების ჩატარებისთვის. ერთი რამ გასათვალისწინებელია: მოსახლეობაზე ხე-ტყის (სამასალე, საშეშე) ჭრის ბილეთები შემოდგომის დასაწყისში გაიცემა. მთის სოფლებში, ტყეებში ამ დროს ტრანსპორტი წვიმების, სტიქიური პროცესების გამო ნორმალურად ვეღარ მოძრაობს. მოსახლეობა სამართლიანად მოითხოვს, რომ ბილეთები ზაფხულის დასაწყისში გაიცეს. სოფლებში ისეთი ოჯახებიცაა, რომლებსაც საცხოვრებელი სახლები, დამატებითი სათავსები სტიქიამ (ხანძარი, მეწყერი, ზვავი, კლდეზვავი) დაუზიანა. ისინი ტყის რესურსებს დროულად ვერ იყენებენ, რადგან ბილეთები შემოდგომამდე არ გაიცემა.

- ნაღვარევი-კიკიბოს გზა რა მდგომარეობაშია?

- ეს საკომუნიკაციო საშუალება ღრმა ხევებზე გადის. სივიწროვისა და მოუწესრიგებლობის გამო, ამ მონაკვეთზე ავტოავარიები და ადამიანების მსხვერპლიც იყო. ბოლო წლებში ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდეგ, უბედურმა შემთხვევებმა იკლო. გზა თოვლისა და ზამთრის ნარჩენებისგან დროულად გაიწმინდა, მაგრამ დროა, ამ მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგებაზეც ვიფიქროთ.

ჯილდო – ბათუმელ სტუდენტს

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ბათუმელი **თიკო მიქელაძე** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტია. მას ახლახან აკადემიკოს ვახტანგ შამილაძის სახელობის სტიპენდია დაენიშნა. მიზანსწრაფული, აქტიური და ბეჯითი სტუდენტი მაღალი პასუხისმგებლობითა და მოტივაციით გამოირჩევა.*

- გილოცავთ. აკადემიკოს ვახტანგ შამილაძის სახელობის სტიპენდია სასიხარულოცაა და საპასუხისმგებლოც. როგორ მიაღწიეთ ამ წარმატებას?

- მადლობა მოლოცვისთვის. ნამდვილად ასეა. წარმატების მთავარი საიდუმლო ყოველთვის თავდაუზოგავი შრომაა. თუ მოინდომებ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაგიფასდება.

- უნივერსიტეტი, სადაც სწავლობთ, ნოვაციებით იპყრობს ყურადღებას. პროფესიულ ზრდაში ეს რამდენად გეხმარებათ და რატომ ამჯობინეთ ილიაუნი?

- ილიაუნი ნამდვილად არაერთ ახალგაზრდას ეხმარება საკუთარი გზის პოვნაში, მეც სწორედ ამიტომ ავირჩიე. პროფესიაზე დიდხანს ვფიქრობდი, თუმცა ბოლოს არჩევანი მომავლის პროფესიაზე შევაჩერე - ესაა ბიზნესის ადმინისტრირება. დარწმუნებული ვარ, მომავალში ამ საქმის კეთება წარმატებას მომიტანს.

- სტუდენტურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში თუ ხართ ჩართული და რა ღონისძიებებსა და პროექტებში მონაწილეობთ?

- ყოველთვის ვცდილობ, გამოვიდე ფორმალური განათლების ჩარჩოდან და ჩავერთო არაფორმალურ განათლებაშიც. დაკავებული ვარ მოხალისეობრივი საქმიანობით, ვცდილობ, ყოველ ლიტერატურულ ღონისძიებას შევუერთდე.

- ვინ არიან ის გამორჩეული პროფესორ-მასწავლებლები, ცოდნის სამყაროში რომ მიგიძღვით ახალგაზრდებს?

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ნამდვილად გამოირჩევა თავისი საქმის პროფესიონალებით, რომლებიც გვეხმარებიან სიძნელეების გადალახვაში, გვაძლევენ სტიმულს, მეტი ვიმუშაოთ საკუთარ თავზე. გამოვარჩევდი რამდენიმე მათგანს - ქალბატონ მარიამ ვარდოსანიძეს, რომელიც საგნის სწავლებას საინტერესოს ხდის და გვაძლევს შესაძლებელობას, სრულად გამოვავლინოთ უნარები. ასევე, ბატონი გიორგი პაპავა, რომელმაც ეკონომიკა, როგორც საგანი, შეგვაყვარა და მოტივაცია გაგვიღვივა.

- თქვენი ერთი დღე... როგორ იწყება და როგორ სრულდება?

- დღის პირველ ნახევარში, ძირითადად, გვაქვს ლექციები, შემდეგ, მეგობრებთან ერთად, განვიხილავ ახსნილ მასალას, თვალს ვავლებთ უნივერსიტეტში იმ დღეს ჩანიშნულ პროგრამებს და თუ დრო გვაქვს, ვუერთდებით. დღის ბოლოს ვსტუმრობ პერსონალურ ბიბლიოთეკას და ვცდილობ, ძილის წინ, რამდენიმე საინტერესო გვერდის

წაკითხვა მოვასწრო.

- სად მეცადინეობთ, ბიბლიოთეკებს სტუმრობთ თუ ინტერნეტით შემოიფარგლებით?

- ძირითადად, ბიბლიოთეკაში ვემზადები გამოცდებისთვის, ჯგუფურად განვიხილავთ ყველა საკითხს და ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი გავიგოთ და გავაცნობიეროთ.

- წიგნი, რომელმაც გაგიტაცათ...

- არ შემიძლია არ გამოვყო ლევ ტოლსტოის „აღდგომა“, რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. წიგნებს, ძირითადად, ბეჭდურად ვკითხულობ, განსაკუთრებით მიყვარს ქართული ლიტერატურა. აუცილებლად უნდა აღვნიშნო კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, რომელმაც ჩემში ლიტერატურის სიყვარული გააღვივა.

- ბათუმში, როგორც „მწიგნობარის“ გამორჩეულად აქტიურ წევრს, ახლაც გიგონებენ.

- „მწიგნობარი“ არის ჩემი ბავშვობა, სწორედ იქ დავუახლოვდი ლიტერატურას, შევიყვარე პოეზია, იქ ვისწავლე, რას ნიშნავს გქონდეს მიზანი და მისკენ სწრაფვაც. მიხარია, რომ მრავალფეროვანი ბავშვობა მქონდა მათი დახმარებით.

- თქვენს სასკოლო ჯილდოს - ოქროს მედალს სტუდენტობაში (გარდა სტიპენდიისა) კიდევ რა შეემატა?

- გრანტით ჩავირიცხე სასურველ უნივერსიტეტში, პირველ სემესტრშივე ყველა შესაძლო სტიპენდია ავიღე. თითოეული ჯილდო განსაკუთრებულია და გიბიძგებს უფრო მეტი შრომისკენ, არ გაძლევს მოდუნების საშუალებას, რადგან როგორც კი წარმატების „გემოს გაიგებ“, მისი დათმობა გიჭირს, ჯილდო დიდი სტიმულია. მინდა ყველა დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანო. დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალში გაცილებით მეტს მივაღწევ, წარმოვაჩენ ჩემს ქვეყანას და წვლილს შევიტან მის განვითარებაში.

„სოფელში საღ აზრს მხარდამჭერი ყოველთვის ჰყავს“

80 წლის შალვა ცინარიძის განვლილი გზა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა, იყოს საზოგადოებისთვის საჭირო და, რაც მთავარია, ღირსეული მასწავლებლის სახელი მოიხვეჭოს



- ოჯახში ხუთი ძმა და ერთი და ვიზრდებოდით, მათგან წუთისოფელს მე და 85 წელს გადაცილებული ძმა - გერონტი შემოვრჩით. ვერ ვიტყვი, რომ ბედნიერი და უდარდელი ბავშვობა გვქონდა. მამა მძიმე ავადმყოფი იყო და ოჯახურ ტვირთს დედა და შვილები თანაბრად ვინაწილებდით. მერე იყო სკოლა. ელენე ჯანგველაძისა და ოლია პერტაიას ძალისხმევით, მრავალი ცინარეთელი ვეზიარეთ დედაენის მადლს. ისინი მოვლინებული მასწავლებლები იყვნენ და გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრეს თითოეული აღსაზრდელის გულში. უდავოდ გასახსენებელია მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ვენერა ნარსიას წვლილი. მისგან ვისწავლე, როგორ უნდა იბრძოლო მიზნისთვის, ვისწავლე მიტევება, თანადგომა, რაც შემდგომში ცხოვრების წესად მექცა. ოჯახურმა გარემომ არ მომცა შესაძლებლობა, საშუალო განათლება მშობლიურ შუახევში მიმეღო. მეათე კლასიდან სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამიწვიეს, თუმცა ესეც ცხოვრებაში ერთი კარგი გაკვეთილი იყო. დღევანდელ სანკტ-პეტერბურგში ვმსახურობდი და თან საღამოს სკოლაში ვსწავლობდი. იქ დავასრულე მეათე კლასი, ხოლო საშუალო განათლების დიპლომი ბათუმში მივიღე. მაშინ არსებობდა ეგრეთ წოდებული დაუსწრებელი სკოლა, დღისით №5 სამშენებლო ტრესტში - მშენებლობაზე მუშად ვმუშაობდი, საღამოს საათებში მერხთან ვიჯექი. ოთხი სკოლა გამოვიცვალე და საშუალო განათლების ატესტატი ასე ავიღე.

- ნუთუ რუსულ ენას იმ დონეზე ფლობდით, რომ ერთი წელი რუსულ სკოლაში ისწავლეთ?

- რუსულ ენასთან ერთად, გერმანულსაც კარგად ვფლობდი. გავუსწრებ მოვლენებს და ვიტყვი, რომ წლების განმავლობაში მშობლიურ სოფელ ცინარეთის 8-წლიან სკოლაში გერმანული ენის მასწავლებლად ვიმუშავე. ერთ ხანს შუახევის რაიონის შორეულ სოფელ ვანის 8-წლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელიც ვიყავი. უმაღლესი განათლების მიღება მთავარ მიზნად მქონდა დასახული. პირველ წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე კონკურსში ვერ გავედი. არ მინერვიულია, იმ დღესვე მომავალი წლისთვის სამზადისს შევუდექი. ისევ ვენერა მასწავლებელი მამხნევებდა და ერთგული თანამეცხედრე ნუნუ ბახტაძე-ცინარაიძე მედგა გვერდით. წინა საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან ერთად მოვდივართ და მალე ქორწინებიდან 60 წელს ვიზეიმებთ. ოჯახს ფიზიკური შრომით ვინახავდით. ის რიგითი მეთამბაქოე იყო, მე - ტრესტის მუშა. შრომასთან ერთად, მოხუც მშობლებს მზრუნველობას, ყურადღებასა და თანადგომას არ ვაკლებდით. დანარჩენ ძმებსა და დას საკუთარი ოჯახები ჰქონდათ. შრომა ადამიანს ყოველთვის უფასდება. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ნუნუ ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ამ აღიარებამ ორივეს სტიმული შეგვმატა, უმაღლესი განათლება მიგვეღო. ორივენი ერთი სპეციალობის პედაგოგებად მოვევლინეთ მშობლიური ცინარეთის სკოლას.

- სოფლის ხელმძღვანელობაც ხომ განდეს?

- ეს მოულოდნელი გამოცდა იყო. წინა საუკუნის იმ პერიოდში მანდეს სოფლის ხელმძღვანელობა, როცა კომუნისტურ ღირებულებათა გადაფასება მიდიოდა, მაქსიმუმს ვაკეთებდი, რათა სოფელში ავტორიტეტი შემენარჩუნებინა და თანასოფლელების ამაგი დამეფასებინა. იმდენს მივაღწიე, რომ სოფელში ახალი ტექნიკა შემოვიყვანე. მუხლუხა ტრაქტორი ახლაც ცინარეთელების სამსახურშია. ბევრგან საზოგადოებრივი სარგებლობის შენობები დაშალეს, ჩვენ - შევაკეთეთ. ახლაც მთელი სოფელი ვიყენებთ სარიტუალო დარბაზს, თემის სამედიცინო პუნქტს, კლუბს. ასეა, მოუვლი - გექნება, არ მოუვლი და... როცა მივხვდი, რომ სოფლის ხელმძღვანელობა უკვე ცარიელი წყლის ნაყვა იყო, ისევ სკოლას დავუბრუნდი, თანაც მაშინ, როცა ჩვენი შვილი გიორგი ამ სკოლის მოსწავლე იყო. შუახევის რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობის, აჭარის განათლების მაშინდელი მინისტრის, ქალბატონ ნანი გუნუნავას თანადგომით, მე და ოთარ ცინარაიძემ იმდენს მივაღწიეთ, რომ სოფლის 8-წლიანი სკოლა საშუალოდ გადავაკეთეთ. პირველი გამოშვება ჩემი გიორგის კლასი იყო. საქართველოს მასშტაბით, ცინარეთის სკოლა პირველი საგანმანათლებლო კერა იყო, რომლის ყველა კურსდამთავრებულმა ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარა და სტუდენტი გახდა. მაშინდელი თუ მომდევნო წლების კურსდამთავრებულები დღეს წარმატებული ადამიანები არიან, მე კი მათთვის „შალვა მასწავლებლად“ ვრჩები.

- თქვენს ასაკში ბევრი პედაგოგი აგრძელებს მუშაობას...

- სკოლა სათუთი დაწესებულებაა, იქ მუშაობა იოლი საქმე არაა. მე და ნუნუ „პედაგოგიურ ჯილდოზე“ ერთად გავედით. ახლაც ვიცნობ ჩემი თაობის მასწავლებლებს, რომლებსაც სასერტიფიკაციო გამოცდებზე ხელი მოეცარათ, მაგრამ ჯიუტად ისევ აგრძელებენ მუშაობას. ჩვენ გვეყო თავმოყვარეობა და პედაგოგობას იმ დროს ჩამოვშორდით, როცა ეს საჭიროდ ჩავთვალეთ. სასერტიფიკაციო გამოცდებზე გასვლა არც გვიცდია... სოფელი მიყვარს, ვერ ველევი, მცირე წვლილი შეგვაქვს. შეგვპირდნენ, რომ ბეტონის საფარის დაგება დაიწყება ცინარეთი-რიკიხიდის შემოვლით გზაზეც, რომელიც უმოკლესია შუახევის ცენტრამდე.

- მიგრაცია ბუნებრივი პროცესია...

- ბუნებრივია, თუმცა ამას სტიქიური პროცესებიც ემატება. სოფლის ერთ ნაწილში 10 ოჯახზე მეტი საფრთხეშია. წინაპრების საძვალეები, მათ შორის, ბებია-ბაბუის, ბიძების საფლავები საფრთხის წინაშეა. ამინდის გაუარესებისთანავე ადამიანები ოჯახებიდან იხიზნებიან. სტიქიური პროცესების გააქტიურების გამო, წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, სოფლიდან 30-მდე კომლი გავიდა. მათ ჯერ საცხოვრისი ზუგდიდის რაიონის ხეცერისა და ნარაზენის ტერიტორიებზე გაიჩინეს, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომისა და მხედრიონელების თარეშის გამო, უკან მობრუნდნენ და ჩაქვში, ციხისძირში დასახლდნენ. ახლაც თუ 10-ზე მეტი ოჯახი სოფლიდან სხვაგან გადავა, დიდი დანაკლისი იქნება. გული შემტკივა, რომ ვცარიელდებით.

- დღემდე სოფლის გულშემატკივრად რჩებით. თქვენს სიტყვასაც ფასი აქვს.

> ***„სოფლის ერთ ნაწილში 10 ოჯახზე მეტი საფრთხეშია. წინაპრების საძვალეები, მათ შორის, ბებია-ბაბუის, ბიძების საფლავები საფრთხის წინაშეა. ამინდის გაუარესებისთანავე ადამიანები ოჯახებიდან იხიზნებიან. სტიქიური პროცესების გააქტიურების გამო, წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, სოფლიდან 30-მდე კომლი გავიდა***

- მაქვს საოჯახო ბიუჯეტის შევსებაში. ვაზს ვუვლი, მთა ღომაზე სახლი მაქვს და ზაფხულის გარკვეულ ნაწილს იქ ვატარებ. მე და ნუნუ ოჯახისთვის საჭირო მეცხოველეობის პროდუქტებს ვაწარმოებთ, მიწის ნაკვეთს ვამუშავებთ.

- სოფელი თქვენი ასაკის კაცს ჭკუისსაკითხავ პიროვნებად მიიჩნევს...

- ასეა, მაგრამ დღეს სოფელში ჩემი ასაკის კაციც ცოტაა და ახალგაზრდობაც. ცინარეთის 8-წლიანი სკოლა საშუალოდ რომ გადაკეთდა, საგანმანათლებლო კერაში 100-ზე მეტი მოსწავლე იყო. მომავალ სასწავლო წელს პირველ კლასში მისაღები მოსწავლე არ იქნება. უშანგი ბაიაძე, გერონტი ცინარაიძე და მე შემოვრჩით ცინარეთს „ბერიკაცებად“. ადრე საღამოს მოსვლა გვიხაროდა, ძელსკამზე ჩამოვსხდებოდით და ერთმანეთს საუბრით, ტყუილ-მართალი ამბებით გულს ვუმაგრებდით. შარშან სოფლის კეთილმოწყობაზე მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა. 35 წლის წინ თანასოფლელ ოთარ დურსუნის ძე ხუჯაძის ინიციატივით, სოფლის ცენტრი რომ შემოვლობეთ, დიდ მოვლენად მივიჩნიეთ. ახლა სოფელში ბეტონსაფარიანი გზა

- სოფელში საღ აზრს მხარდამჭერი ყოველთვის ჰყავს. მახსოვს, საუკუნოვანი ცინარეთის ციხისთვის სახელის შეცვლა რომ დააპირეს („უჩამბის ციხედ“ უნდა მოენათლათ), ყველამ ხმა ავიმაღლეთ. ჩემი სოფლის ხელმძღვანელად მუშაობის წლებში ციხე მოვაწესრიგეთ, სასმელი წყალი გამოვიყვანეთ, მისასვლელი გზა-ბილიკი გავწმინდეთ. ციხის კალთაზე მეორე მსოფლიო ომში დაღუპულების კუთხე გავაკეთეთ... ისტორიულ ძეგლს სახელი შევუნარჩუნეთ, ჯვარი აღვმართეთ. წელს შუახევის ხელმძღვანელობამ გარკვეული თანხა გაიღო ციხის ტერიტორიის მოსაწესრიგებლად და მისასვლელი გზა-ბილიკის მოსაწყობად. სოფელს, ადგილის დედას, თუნდაც ქვეყანას დროზე თუ არ ვუპატრონეთ, ხელიდან გამოგვეცლება. სოფელში გამართულ ყველა შეხვედრაზე ვითხოვდი 21-კილომეტრიანი სარწყავი არხის მოწესრიგებას. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძეს კოლექტიური განცხადებითაც მივმართეთ. საქმე გაკეთდა - შარშან, თითქმის 9-კილომეტრიან მონაკვეთზე, მილები ჩააწყვეს. მჯერა, ამ ზაფხულს სოფელს სარწყავი წყალი ექნება.

საგნობრივ კონკურსებში გამარჯვებულები დაჯილდოვეს

გაიმართა შუახევის რესურსცენტრის მიერ 2023-2024 სასწავლო წელს განხორციელებული შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროექტების წარდგინება და მუნიციპალურ საგნობრივ კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეების, მათი პედაგოგებისა და სკოლების დაჯილდოება

პროექტების, რომელიც ორიენტირებული იყო როგორც მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე მოსწავლეთა მხარდაჭერაზე, სწავლების ხარისხის ამაღლებასა და მოსწავლეთა წახალისებაზე, ფინანსური მხარდამჭერები იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობა და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიული კავშირის შუახევის რაიონული ორგანიზაცია.

შეკრებილებს მიესალმნენ შუახევის რესურსცენტრის უფროსი ედუარდ გოგრაჭაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მერის მოადგილე რუსუდან შავაძე და სხვები. კონკურსის შესაბამისად, ცალკეულ საგნებში გამოვლინდნენ გამარვებულები. ინგლისურ ენაში კონკურსი ოთხ ასაკობრივ კატეგორიაში ჩატარდა. პირველი ადგილები დაიკავეს სოფელ ჭალის საჯარო სკოლის მეხუთეკლასელმა ბაჩუკი ჭაღალიძემ, დღვანის საჯარო სკოლის მერვეკლასელმა ანა ფუტკარაძემ, ხაბელაშვილების საჯარო სკოლის მეათეკლასელმა მარი ჯანელიძემ, დღვანის საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელმა მარინე ფუტკარაძემ.

ისტორია-სამოქალაქო განათლებაში გამართულ კონკურსში საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმიდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის მეთერთმეტეკლასელმა მარიამ მიქელაძემ გაიმარჯვა, გეოგრაფიაში - სოფელ ჭალის საჯარო სკოლის მერვეკლასელმა ლუკა ჭაღალიძემ, ბიოლოგიაში - ტარიელ ფუტკარაძის სახელობის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ შუბნის საჯარო სკოლის მეცხრეკლასელმა მარი ფუტკარაძემ, მათემატიკაში - ხიჭაურის წმიდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის მოსწავლე მარიამ დავითაძემ.

მუნიციპალურ-საგნობრივ კონკურსებში სულ 799 მოსწავლე მონაწილეობდა. საპრიზო ადგილებზე გასულებს სიგელები და „ბიბლუსის“ ვაუჩერები გადაეცათ, სკოლების დირექტორებს, მასწავლებლებს მიღწეული წარმატებისა და კონკურსის ორგანიზებაში შეტანილი წვლილისათვის - მადლობის ბარათები.

ღონისძიების მონაწილეებმა ედუარდ გოგრაჭაძეს საჯაროდ მიულოცეს რესურსცენტრის უფროსის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვება.

გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ

„სიტუაციას განმუხტავს თავისუფალი არჩევნები“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*პოლიტიკა ჩვენი ყოველდღიურობის თანმდევი გახდა. ქვეყანაში ამ მხრივ მიმდინარე პროცესები განსჯასა და ანალიზს მოითხოვს, რათა უკეთ განვჭვრიტოთ მომავალი, თავი დავაღწიოთ სირთულეებს. არაერთ კითხვაზე, რომელიც ჩვენს დღევანდელობას ახლავს, ამჯერად საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა) პროფესორი **გიორგი კოგერიძე** გვიპასუხებს.*

- საუბარი ბოლოდროინდელი მოვლენების შეფასებით დავიწყოთ, რა პროცესები მიმდინარეობს ქვეყანაში?

- თუ შარშან ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პროცესები მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო (როდესაც რუსული კანონი ჩაგდეს), ამჟამად ვითარება გამწვავებულია, პოლიტიკური პოლარიზაცია გადაზრდილია პოლიტიკურ შუღლში. ხელისუფლება ზოგიერთს აგენტს ეძახის, ხოლო მის საწინააღმდეგოდ გაჩნდა ტერმინი - მოღალატე და რუსეთის მხარდამჭერი. ეს ყოველივე ცხადყოფს, რომ პოლიტიკური პოლარიზაცია წარმოუდგენლად რადიკალიზებულია და რთულია განჭვრეტა, რა მოჰყვება ამ ყველაფერს, თუმცა სავარაუდოა, რომ სიტუაციას განმუხტავს თავისუფალი არჩევნები, რომელსაც, რა თქმა უნდა, სასურველია, ჰქონდეს რეალური სახე და არა მოჩვენებითი, რასაც ჩვენ ხშირ შემთხვევაში ვხედავდით.

- როგორც ცნობილია, პარლამენტმა დაძლია პრეზიდენტის ვეტო და მიიღო კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, თქვენი აზრი ამ საკითხზე...

- როდესაც იღებ კანონს, რომელსაც საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერა არ აქვს და ამასთანავე, მოკავშირეები გეუბნებიან, ეს კანონი ძალიან ცუდია, დააზიანებს შენი სახელმწიფოს ინტერესებსო, ხოლო შენი მტრები რუსეთიდან გარწმუნებენ, რომ ეს კარგი კანონია, უნდა დაფიქრდე პოლიტიკოსი, სწორ ნაბიჯებს დგამ თუ არა ქვეყნისთვის, თუკი, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ინტერესები შენთვის მნიშვნელოვანია. ჩვენ ვხედავთ, რომ ქვეყანა, პრაქტიკულად, ბოლო ერთი წლის განმავლობაში (2023 წლის მეორე ნახევრიდან ამ კანონის ხელახლა ინიცირებამდე) იყო პოზიტიურ რელსებზე გადასული: საქართველომ კანდიდატის სტატუსი მიიღო, ევროპის ჩემპიონატზე მოვხვდით, ზოგადად, პოლიტიკური პროცესები მშვიდი ჩანდა. აი, ეს პოზიტიური რელსები ამოატრიალა ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა, რამაც ძალიან დააზარალა ქვეყნის სტაბილურობა მხოლოდ და მხოლოდ მოწინააღმდეგეების სასარგებლოდ. ამით გახარებული მხოლოდ რუსეთი შეიძლება იყოს, რომელსაც აწყობს ქვეყნის შიგნით არსებული დაძაბულობა.

- ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს კანონი ქვეყნის სუვერენიტეტის დასაცავად მიიღეს...

- ამაზე ძალიან მკაფიო პასუხი მაქვს: კავკასიაში თუკი დარჩები მარტო, ეს ნიშნავს ყოფნა-არყოფნის, ანუ ეგზისტენციალური საფრთხის დადგომის რეალობას. მარტივად რომ ვთქვათ, კავკასიაში საქართველოს მსგავსი სახელმწიფოები არ უნდა დარჩნენ მოკავშირეების ანუ ეკონომიკური თუ სამხედრო დახმარების გარეშე. რუსულმა კანონმა ქვეყნის სუვერენიტეტი ეჭვქვეშ დააყენა ორი მიზეზით: ამ კანონის მხარდამჭერი ძალა არის რუსეთი, ანუ ქვეყნის გარეთ მყოფი მტრული ძალა, რომელიც არ აღიარებს სახელმწიფოთა შორის თანასწორუფლებიან თანამშრომლობას, მიაჩნია, რომ იერარქია არსებობს სახელმწიფოებს შორის. რუსეთი სხვა სახელმწიფოებს როგორც ვასალებს, ისე უყურებს; მეორე - საქართველო, ამ კანონის მიღების ფონზე, პრაქტიკულად, მარტო რჩება რუსეთის პირისპირ. გეოპოლიტიკური აქსიომაა - ჩვენს რეგიონში რაც უფრო შორს ხარ ევროპისგან, მით უფრო ახლოს ხარ რუსეთთან. ასე რომ, ამ კანონით საქართველოს სუვერენიტეტი მხოლოდ და მხოლოდ ზიანდება და არ მყარდება. იყო ასეთი მკვლევარი - ალექსი ამილახვარი, ერეკლე მეფის დროის ავტორი, რომელიც ამბობს, რომ ისეთი კანონის მიღება, რომელსაც ქვეყნის შიგნით მხარდაჭერა არ გააჩნია, პრაქტიკულად, ქვეყანას შუაზე ხლეჩს, კანონს სრულიად უფუნქციოს ხდის და სახელმწიფოებრიობა დესტრუქციულ სივრცეში შეჰყავს. აი, ამ დესტრუქციულ სივრცეში შევედით სწორედ იმიტომ, რომ გვაქვს კანონები, რომლებიც არ ემსახურება სახელმწიფო ინტერესებს.

> *„ ამ ეტაპზე მესამე ძალის გამოჩენისთვის სივრცე და დრო აღარ არსებობს. საერთოდ, მესამე ძალა ჩნდება მაშინ, როცა პოლიტიკური პროცესები თავისუფალია, ჯანსაღი, ახლა კი პოლიტიკური პროცესები იმდენად არაჯანსაღ ვითარებაშია გადასული, რომ ნაკლებად სავარაუდოა მესამე ძალის გამოჩენა*

- ვაშინგტონმა რამდენიმე ათეულ ადამიანს საქართველოში (მათ შორის - პარლამენტარებს) სავიზო სანქცია დაუწესა. ეს რისი მანიშნებელია?

- ვიტყოდი, რომ ეს მოსალოდნელი იყო. საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ მოკავშირეებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება გაჩენილიყო. ტერმინი, როგორიცაა გლობალური ომის პარტია, უწოდა არა რუსეთს, არამედ დასავლეთს და ყველაფერს აკეთებს, რომ საკუთარ ამომრჩეველში ჩადოს ზიზღი დასავლეთისადმი. ეს მაშინ, როცა თავად სიამოვნებით დადიან დასავლეთში - ზოგი შვილის გასაჩენად, ზოგი - დასასვენებლად, ზოგიც - სამკურნალოდ, ანუ დასავლეთი მათთვის კი არ არის ცუდი მათი გადასახედიდან, არამედ თითქოს ცუდია საქართველოს მოსახლეობისთვის. დასავლეთისთვის საქართველო არის ქართველი ხალხი, საქართველოს მოსახლეობა. ხელისუფლება თუ არ ასახავს მოსახლეობის უმრავლესობის ნებას და ისეთ კანონებს იღებს, რომლებიც ქვეყანას აზარალებს, ამ შემთხვევაში კარგავს ლეგიტიმაციას, ლეგიტიმურობაზე არ მაქვს საუბარი. ლეგალურობის თვალსაზრისით კანონის მიღება შეიძლება სწორი იყოს, მაგრამ ლეგიტიმურად - სრულიად არასწორი, ლეგიტიმურობა ყოველთვის აღმატებულია ლეგალურობაზე, ანუ ლეგიტიმურობა განაპირობებს შემდგომში რაღაცის ლეგალურობას ან არალეგალურობას. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება არა მხოლოდ ანტიუკრაინულ, ანტიდასავლურ, ანტიამერიკულ განწყობებს თესავს, არამედ პრორუსულსაც კი. გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, გადადგას პროჩინური ნაბიჯები და კიდევ ერთი აგრესიული მოთამაშე შემოიყვანოს რეგიონში, რომელიც უპირისპირდება დასავლეთს. ისიც ცნობილია, რომ ჩინეთი პატარა ქვეყნებს პირადი ინტერესებისათვის იყენებს, რაც მსოფლიომ ბევრჯერ იხილა. ამასთან, ვიხილეთ საქართველოს პრემიერ- მინისტრის მოწიწებით ჩასვლა ირანში, ეს არის ავტოკრატიული ლიდერის ჩამოყალიბების მცდელობა. ავტოკრატიული მმართველობა რუსეთსა და ჩინეთს ახასიათებს და ვხედავთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, ამ გზით წავიდეს. სწორედ ეს ეწინააღმდეგება მშვიდობას (როგორც ტერმინს, ხშირად მიმართავენ), რადგან ახლა მსოფლიოში ცივი ომი მიმდინარეობს და ამ ბრძოლაში საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, ქვეყანა გადააქციოს ავტოკრატიული სამყაროს ნაწილად, რაც ცუდი იდეაა, ვინაიდან ეს ავტოკრატიული სამყარო იმყოფება ომების მდგომარეობაში. შეგახსენებთ იმასაც, რომ საომარ ვითარებაში რუსეთი იმყოფება არა მხოლოდ დასავლეთთან, არამედ საქართველოსთანაც. თავს ნუ მოვიტყუებთ, რუსეთს ჩვენს ქვეყანასთან ომი არ შეუწყვეტია. ამას კარგად ვხედავთ ყოველდღიურად - რა ხდება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

- შესაძლებელია თუ არა, საქართველოს მოსახლეობას შეუჩერდეს უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის ქვეყნებში?

- ვფიქრობ, რომ საქართველოს მოსახლეობა ხელისუფლების გამო არ უნდა დაისაჯოს. ევროკავშირს კარგად ესმის, რომ ეს უნდა იყოს უკიდურესი ნაბიჯი. მათ ამ ეტაპზე შეუძლიათ შეზღუდვები დაუწესონ, პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლებას და იმ ადამიანებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საქართველოში რუსული სამართლებრივი წესრიგის დამყარებაზე. თუკი არაფერი შეიცვალა და არჩევნები გაყალბდა, ანუ საქართველომ დასავლური კურსი შეიცვალა, მაშინ სრულიად შესაძლებელია, საქართველოს მოსახლეობას შეუჩერდეს ვიზალიბერალიზაცია და თუ ეს მოხდა, იქნება საქართველოს ხელისუფლების ბრალი.

- ამას წინათ საქართველოს პრეზიდენტმა „ქართული ქარტია“ წარუდგინა საზოგადოებას...

- მიმაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მეტამორფოზა განიცადა. წლების განმავლობაში მის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება ქართულ მოსახლეობაში ნაკლები იყო, მაგრამ ახლა ვხედავთ, რომ სალომე ზურაბიშვილმა ნელ-ნელა ავტორიტეტი მოიპოვა საზოგადოებაში, შესაბამისად, ის წარმოადგენს ერთგვარ ევროპულ სიმბოლოს, რომელმაც პოლიტიკური ჯგუფები გააერთიანა. პოლიტიკური ლიდერის პრობლემა ამ ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში იყო, სიმბოლური ლიდერის მაინც, მაგრამ ახლა ვხედავთ, რომ სიმბოლური ლიდერი გაჩნდა და მას შეუძლია პოლიტიკური პროცესები უფრო ჯანსაღად, უფრო მშვიდ გარემოში წარმართოს.

- რა შეიძლება ოპოზიციაზე ითქვას, რამდენად ანგარიშგასაწევი ძალაა?

- ხელისუფლებაში ოპოზიციის მოსვლა-არმოსვლაზე არ უნდა გაკეთდეს აქცენტი. დღეს საქართველოს წინაშე გამოიკვეთა სერიოზული წყალგამყოფი მომენტი - საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ხედავს, რომ ხელისუფლება თავისი ქმედებით აფერხებს დემოკრატიულ პროცესებს და, ასევე, ევროპულ განვითარებას. ამ მხრივ, მნიშვნელოვან გარემოებას მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება - ადამიანს, რომელსაც ცხოვრებაში ერთხელ ეძლევა შანსი, იყოს თავისუფალი, ნახოს, შეისწავლოს, შეიმეცნოს სამყარო, ამის გაკეთება, არისტოტელეს ფილოსოფიური ხედვიდან გამომდინარე, მას შეუძლია სამართლებრივ და თავისუფალ გარემოში და თუკი საქართველოს ხელისუფლება ქვეყანაში ვერ შექმნის ასეთ გარემოს, მაშინ მის მოსახლეობას სასურველი მომავალი არ ექნება. ვხედავთ, რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან რუსეთის მიერ დატყვევებული ერები. რუსეთი არის ერების ციხე და ვხედავთ იმასაც, რა მდგომარეობაა რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოებში, არ არსებობს რუსეთის მოკავშირე წარმატებული სახელმწიფო, ამიტომ იმაზე აღარ ღირს საუბარი, ოპოზიცია კარგია თუ ცუდი... ვფიქრობ, ოპოზიციას ძალიან ბევრი ხარვეზი აქვს. მაგრამ ახლა მთავარია, ვის და რას აძლევ ხმას არჩევნებში - იმას, რომ ქვეყანაში დამყარდეს ავტოკრატია და პრორუსული მმართველობა, თუ პირიქით, იმას, რომ ეს არ მოხდეს. დიახ, საკითხი დგას სწორედ ასე... ვთვლი, რომ მოქმედი ხელისუფლების არჩევა ქვეყნისთვის დამაზიანებელი იქნება.

- არ წყდება საუბარი მესამე ძალაზე...

- ამ ეტაპზე მესამე ძალის გამოჩენისთვის სივრცე და დრო აღარ არსებობს. საერთოდ, მესამე ძალა ჩნდება მაშინ, როცა პოლიტიკური პროცესები თავისუფალია, ჯანსაღი, ახლა კი პოლიტიკური პროცესები იმდენად არაჯანსაღ ვითარებაშია გადასული, რომ ნაკლებად სავარაუდოა მესამე ძალის გამოჩენა. რა ხედვა უნდა შემოიტანოს ამ მესამე ძალამ ისეთი, რასაც არ ამბობს ოპოზიცია და პრეზიდენტი. ერთ მხარეს დგას ძალა, რომელიც ამბობს, რომ დასავლეთი არის ცუდი, მეორე მხარეს ასევე დგას ძალა, რომელიც აცხადებს, რომ დასავლეთი არის კარგი, მესამე ძალის საჭიროება, რომელიც თავად წაიყვანს მოსახლეობას დასავლეთისკენ, ამ ეტაპზე აღარ დგას. მოსახლეობას გააზრებული აქვს, რომ დღეს პოლიტიკურ პარტიებს კი არ აძლევს ხმას, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ კურსს.

- ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ თავად ხელისუფლებამ შექმნას კონტროლირებადი მესამე ძალა?

- თუკი სოკოებივით გაჩნდებიან ფსევდოოპოზიციური ძალები, ისინი ხელისუფლების დასაყრდენი იქნებიან, მაგრამ ახლა ფსევდოოპოზიციის გაჩენის სივრცე შეზღუდულია. ჩვენ უკვე გვაქვს ფსევდოოპოზიციური ძალები „ევროპელი სოციალისტების“ და „ხალხის ძალის“ სახით, რომლებიც პარლამენტში არიან წარმოდგენილნი.

- არჩევნებში მოსახლეობის ინერტულობაზე რას ფიქრობთ?

- აქციების დარბევა, რუსული სამართლებრივი წესრიგის დამკვიდრება ქვეყანაში, სტუდენტების დევნა, პოლიტიკოსების ცემა, ეს ყველაფერი მოსახლეობას აჩვენებს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია ქვეყნის მომავლისთვის, მისი ევროპული კურსისთვის. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ამ არჩევნებში მოსახლეობის აქტიურობა იქნება მაღალი, ეს არჩევნები უნდა იყოს გამჭვირვალე. ლეგიტიმურობა უნდა ჰქონდეს მთავრობას ხალხის და დასავლეთის თვალში.

- რამდენად მოსალოდნელია, რომ არჩევნების შედეგად კოალიციური მთავრობა ჩამოყალიბდეს?

- თუ ოპოზიციამ კომბინაციაში აჯობა ხელისუფლებას, კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება რეალურია, არცერთ ოპოზიციურ ძალას არ ექნება აბსოლუტური უმრავლესობა, რომ კოალიციის გარეშე მართოს ქვეყანა და ეს არის კარგი. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ყველა ის მთავრობა, რომელიც მართავდა ჩვენს ქვეყანას კოალიციის გარეშე, იყო ცუდი, რადგან ამ მთავრობებს რეალობის აღქმა დაეკარგათ.

- როგორ გესახებათ ოქტომბრის არჩევნების მნიშვნელობა?

- ახლა საქართველოს მოსახლეობა არა მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს აძლევს ხმას, არამედ საქართველოს მომავალს. ევროკავშირი კიდევ ერთხელ გაფართოვდება 2030 წელს და ეს იქნება საქართველოსთვის ბოლო შანსი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ, უნდა დავაკმაყოფილოთ ის პირობები, რომელიც ჩვენ მოგვიტანს ევროპული ცხოვრების დონეს. ევროკავშირის სტანდარტები უნდა დავამკვიდროთ ანუ წარმატებული უნდა გავხდეთ როგორც ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, ამის მიღწევა კი მაშინაა შესაძლებელი, თუ ქვეყანაში გონივრულ და დემოკრატიულ რეფორმებს გავატარებთ, რისი წინაპირობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიზანმიმართული, სწორი მუშაობაა, ასეთი მმართველები კი დემოკრატიული არჩევნების მონაპოვარია. ამიტომაც ეს არჩევნები არის გადამწყვეტი საქართველოსთვის და მისი მომავლისთვის.

მალე – „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“

პრემიერა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრში

14 ივნისს ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში 17:00 საათზე მორიგი პრემიერა - „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ (ლუის კეროლის მიხედვით) გაიმართება

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი და ინსცენირების ავტორი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ირაკლი კიკვაძეა, კომპოზიტორი - სანდრო ნიკოლაძე, მხატვარი - გიორგი გოგიტიძე, რეჟისორის თანაშემწე კი ნანა თოლორდავა. მონაწილეობენ: სალომე ცაგურია, ვანო მაღლაკელიძე, ალექსანდრე გაბაიძე, მინდია ჩოხარაძე, სოფიო ცინცაძე და ლევან მიდილიში.



ლუის კეროლის „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ ყველა დროის გამორჩეული ნაწარმოებია, რომლის მიმართ ინტერესი არ ქრება.

- სპექტაკლი „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ ნაწარმოებისგან განსხვავებულია, ჩვენეული ინტერპრეტაციით იქნება წარმოდგენილი. ვცდილობთ, ამ სპექტაკლით მოზარდებთან მივიტანოთ ის ინფორმაცია, რომლის გაგებაც, ვფიქრობ, აუცილებლად სჭირდებათ. თინეიჯერული ასაკი ყველაზე საინტერესო პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში, რადგან სწორედ ამ დროს ხდება სამყაროსთან შეგუება, მისი აღქმა. მოზარდების უმეტესობას რატომღაც ჰგონია, რომ ამოვარდნილია იმ სამყაროდან, რომელშიც ცხოვრობს და გარკვეული პროტესტი უჩნდება. მოზარდი შვილი მყავს და ვიცი, როგორი რთული, თუმცა საინტერესო ასაკია. გვინდა, ამ სპექტაკლით, მაყურებელმა ჩვენგან ერთგვარი დახმარება და რჩევა მიიღოს. უკვე მეორე წელია, რაც ამ თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელი ვარ და მსახიობების (და არამხოლოდ) ძალიან დიდ პროფესიონალიზმს ვხედავ. ჩემთვის სიახლეა რეჟისორის ამპლუაში მათთან მუშაობა, რადგან ეს ჩემი პირველი თოჯინური სპექტაკლია. მთლიანად მივენდე მსახიობების და ჩვენი მხატვრების პროფესიონალიზმს, თავად მირჩევდნენ, რა და როგორ ჯობდა. ფაქტობრივად, ერთად ვდგამდით სპექტაკლს. მინდა აღვნიშნო, რომ ლუის კეროლი იყო მწერალიც, მათემატიკოსიც, ლინგვისტიც... ამავე დროს საბავშვო ფოტოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელიც გახლდათ. პრემიერის დღეს მისი სურათების გამოფენა გადავწყვიტეთ. იგი რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა უნდა დაათვალიეროს, რადგან ძალიან საინტერესო ნამუშევრებია. გვექნება ელისის რამდენიმე ფოტოც, რომლის მიხედვითაც ეს ნაწარმოები დაიწერა. ძალიან ბევრი ვიმუშავეთ იმაზე, რომ სპექტაკლი მოზარდებისთვის საინტერესო და მიმზიდველი ყოფილიყო. მოგეხსენებათ, დღეს მოზარდებში ყველაზე მეტად ანიმეა პოპულარული და საკმაოდ დიდი გავლენა აქვს მათზე, ამიტომ გადავიტანეთ მოქმედება ბრიტანეთიდან იაპონიაში. ყველა გმირს იაპონური სახელი აქვს. მაგალითად, ჩეშირის კატას ჩეშან-ეკო ჰქვია, მუხლუხოს - კემუში, ჯალათს -კეირი, ჰერცოგინიას - უკუ-გატა. ამ ყველაფერთან ერთად, ჩვენი მხატვრის - გია გოგიტიძის დამსახურებით, სპექტაკლი სასწაულად არის გაფორმებული. ვფიქრობ, მაყურებელს განსხვავებული და საინტერესო სანახაობა ელის, - გვითხრა ირაკლი კიკვაძემ.

„ვფიქრობ, საქართველოში მსგავსი ინსცენირებით ეს სპექტაკლი ჯერ არავის დაუდგამს. „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ განსხვავებული იქნება იმით, რომ ელისი იაპონელია, ამდენად როგორც საუბრის, ასევე ქცევის მანერებზე მუშაობა საკმაოდ რთული იყო

- ვფიქრობ, საქართველოში მსგავსი ინსცენირებით ეს სპექტაკლი ჯერ არავის დაუდგამს. „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ განსხვავებული იქნება იმით, რომ ელისი იაპონელია, ამდენად როგორც საუბრის, ასევე ქცევის მანერებზე მუშაობა საკმაოდ რთული იყო. ზოგადად, ყველა ჩემს პერსონაჟთან ვნახულობ საერთოს, ამ შემთხვევაშიც ვიპოვე ხასიათში პატარა დეტალები და, ჯამში, მე და ელისი გავერთიანდით. ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესო როლია, დანარჩენს მაყურებელი შეაფასებს. ბატონ ირაკლისთან მუშაობა

ძალიან სასიამოვნო პროცესი იყო. მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანია. ზუსტად იცის, რა უნდა და ჩვენც მაქსიმალურად ვეცადეთ, მისი იდეები სცენაზე გაგვეცოცხლებინა. არა მხოლოდ მსახიობებმა, ტექნიკურმა პერსონალმაც ძალიან კარგად იმუშავა და სპექტაკლი ვიზუალურად ძალიან ლამაზი გამოვიდა. ვფიქრობ, იგი ძალიან ბევრ მოზარდს დაეხმარება საკუთარი თავის პოვნაში, იმ ცვლილებების დანახვაში, რომლებიც, წლებთან ერთად, ადამიანის გონებაში ხდება. როცა ვიზრდებით, ვიცვლებით და ამ დროს ვკარგავთ ყველაზე ნათელს, რასაც ბავშვობა ჰქვია. არადა, ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ის არის, რომ შინაგანი ბავშვი არ დავკარგოთ ჩვენში. ეს იქნება კარგი მესიჯი მოზარდებისთვის... და არა მარტო მათთვის. ეს სპექტაკლი ძალიან ბევრ ადამიანს დაეხმარება საკუთარი თავის პოვნაში, - გვითხრა ელისის როლის შემსრულებელმა სალომე ცაგურიამ.

რეპრესირებული

ტკივილნარევი სიხარული – 87 წლის შემდეგ

„საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაცამ“ „აღდგენის, დოკუმენტაციისა და იდენტიფიკაციის ქართული პროექტის“ ფარგლებში, პოლონეთის პრემორანის სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო გენეტიკის დეპარტამენტთან, აშშ-ის ტეხასის, მიჩიგანისა და ნიუ-მექსიკოს სახელმწიფო უნივერსიტეტების ანთროპოლოგიის დეპარტამენტებთან და აჭარის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა და მათ შთამომავლთა სოციალური დაცვის არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალთან“ მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, 1937-38 წლებში რეპრესირებული კიდევ ერთი პირის - მემედ ჯინჭარაძის წარმატებული ინდეტიფიცირება განახორციელა. იდენტიფიცირების შესახებ ოჯახს 2024 წლის 10 ივნისს აცნობეს

მემედ ჯინჭარაძის შვილიშვილი მედიცინის დოქტორი, ონკოქირურგი, კლინიკა „მედცენტრის“ ონკოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი მემედ ჯინჭარაძეა. როგორც თავად გვითხრა, რეპრესირებული წინაპრის პოვნის იმედი აღარ ჰქონდათ.

- ბაბუაჩემი მემედ ჯინჭარაძე 1937 წლის რეპრესიების დროს დახვრიტეს. 9 შვილი ჰყავდა. მამაჩემი მაშინ 14 წლის იყო, ერთი წლით უფროსი და ჰყავდა და ბაბუის დახვრეტის შემდეგ ოჯახის რჩენა მას მოუწია. მინდა აღვნიშნო, რომ მცირე ასაკის მიუხედავად, საკმაოდ კარგად გაართვა თავი. რა თქმა უნდა, თავდაუზოგავი შრომა უწევდა, თუმცა ოჯახს ბოლომდე უპატრონა. სახელად მემედი მამაჩემმა ბაბუის საპატივცემულოდ დამარქვა. წლების შემდეგ არქივიდან დოკუმენტები მოვიძიე, სადაც ეწერა, რომ ბაბუაჩემი მაშინდელმა „ტროიკამ“ დახვრიტა (სამი კაცი წყვეტდა მაშინ დახვრეტის საკითხს). მიზეზად იცით, რას ასახელებდნენ? ბაბუაჩემს უთქვამს: კოლმეურნეობაში მუშაობა არ ღირს, იქ ხელფასს არ იძლევიანო (არადა, მხოლოდ ბაბუა კი არა, მთელი მისი ოჯახი მუშაობდა კოლმეურნეობაში)... ცხადია, შემდეგ მოაყოლეს, რომ იყო აგენტი, „ტროიკისტი“ და ასე შემდეგ. მამისგან ვიცოდი, რომ ბაბუა კარგი მოჯირითე იყო. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლება არ ჰქონდა მიღებული, გერმანულ და რუსულ ენებს კარგად ფლობდა. ვაჟკაცი და თავისუფალი პიროვნება იყო. მამაჩემი ისე გარდაიცვალა, ბოლომდე სჯეროდა, რომ ბაბუა არ დაუხვრეტიათ. ეუბნებოდნენ, რომ ციმბირში გადასასახლეს და ტაიგაში მუშაობსო. მამა ფიქრობდა, რომ ბაბუა იქვე გარდაიცვალა, სინამდვილეში, როგორც კი აიყვანეს, მალევე დახვრიტეს და იქვე დამარხეს. მამას მისი ტრაგიკული ცხოვრება განსაკუთრებულად მიჰქონდა გულთან. ძალიან განიცდიდა. ბავშვი რომ ვიყავი და სახლში ნასვამი მოვიდოდა, ტიროდა, ვერ ეგუებოდა იმ სიტუაციას. განსაკუთრებულად უყვარდა მამა. აჭარის „მემორიალის“ ხელმძღვანელი, ბატონი ზურაბ ზაქარიაძე რომ დამიკავშირდა, რაღაც პერიოდის შემდეგ სოფელ ფერიის ამბულატორიაში მე და ჩემმა ორმა ბიძაშვილმა დნმ-ის ტესტი ავიღეთ, რისთვისაც მადლობას ვუხდით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ზაზა დიასამიძეს. სიმართლე გითხრათ, არ ველოდით ბაბუის ნეშტს თუ ვიპოვიდით, იმედი აღარ გვქონდა, თუმცა როცა ქალბატონმა მერი გონაშვილმა უკვე იდენტიფიცირებული ნეშტის პასუხი მომიტანა, ძალიან გამიხარდა. გული მწყდება, რომ მამაჩემი ვერ მოესწრო ამ ტკივილნარევ სიხარულს. როგორც ვიცი, შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე და ახლო მომავალში რეპრესირებულთა პანთეონის გახსნაზეა საუბარი. ძალიან მომწონს ეს იდეა. ცხადია, ჩვენ საგვარეულო სასაფლაო გვაქვს, თუმცა თუ ღირსეული პანთეონი გაკეთდება, უკეთესი იქნება, ბაბუაჩემის ნეშტი იქ დაიკრძალოს. ხალხიც ნახავს, პატივსაც სხვანაირად მივაგებთ. ჩემი აზრით, მომავალმა თაობამაც უნდა იცოდეს და ნახოს, რა უმსგავსობა ხდებოდა რეპრესიების დროს, რა მდგომარეობაში იყო ხალხი, - გვითხრა მემედ ჯინჭარაძემ.

- საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაციის სახელით, თანავუგრძნობთ საბჭოთა პერიოდის რეპრესიების იდენტიფიცირებული მსხვერპლის - მემედ ჯინჭარაძის ოჯახს. ჩვენი გუნდი, მის ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, დაუღალავად შრომობს, რათა ოჯახებს გავცეთ პასუხები 87 წლის წინათ გაუჩინარებული მათი წინაპრების ადგილსამყოფელისა თუ ბედის შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ რეპრესირებული პირის იდენტიფიცირება მის შთამომავლებს მოუტანს, სულ მცირე, სიმშვიდეს მაინც მათ ოჯახში ათწლეულების განმავლობაში არსებულ პასუხგაუცემელ კითხვებზე პასუხების მიღების გამო. აღნიშნული იდენტიფიცირების ფაქტი ჩვენი ქვეყნის ისტორიის სისხლიან პერიოდში გადატანილი დანაკარგების კიდევ ერთი შეხსენებაა. საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაცია აგრძელებს მუშაობას და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად შევძლებთ კიდევ ბევრი რეპრესირებული პირის ოჯახებში დაბრუნებას, - გვითხრა „საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაციის“ პრეზიდენტმა მერი გონაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, 1937-1938 წლებში რეპრესირებულთა სამარხები ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიამ აღმოაჩინა, ჯამში იდენტიფიცირებულია 5 ნეშტი, აქედან - 3 სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ოჯახებს გადაეცათ. „საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაციასა“ და „აჭარის მემორიალს“ შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, „მემორიალი“ კვლავ განაგრძობს 1937-38 წლებში რეპრესირებულთა შთამომავლების ძებნას.

„მემორიალი“ რეპრესირებულთა შთამომავლებს სთხოვს, გამოეხმაურონ ორგანიზაციის ხელმძღვანელ ზურაბ ზაქარიაძეს ყოველდღე, 18:00 საათიდან, მობილურის ნომერზე: 595721416, რათა ორგანიზებულად ჩატარდეს დნმ-ის ანალიზის აღება რეპრესირებულთა ოჯახის წევრებისგან.

გვერდი მოამზადა
მარიამ ხითარიშვილმა

დღეს ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატი იხსნება!

2024 წლის 26 მარტი უკვე ისტორიაა, მაგრამ იმ დღეს მიღებული უდიდესი სიხარული არასოდეს განელდება, ქართველ გულშემატკივარს ახალი და ბევრად უფრო საინტერესო დღეები ელის, - საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე 24 საუკეთესო გუნდთან ერთად ითამაშებს

ჩვენი გუნდი ფელბერტშია დაბანაკებული. 12 ივნისს დორტმუნდში გუნდის ღია ვარჯიში გაიმართა. ამ პროცესს ქართველი გულშემატკივრებიც ესწრებოდნენ. რეგისტრაცია 9 ივნისს დაიწყო და ამ ვარჯიშზე დასასწრებად რამდენიმე საათში ყველა ადგილი შევსებული იყო. საქართველოს ნაკრები სწორედ ფელბერტიდან ივლის თამაშებზე. საწვრთნელი პროცესი სავსე ტრიბუნის და გულშემატკივართა შეძახილების ფონზე წარიმართა.

ვარჯიშში 24 ფეხბურთელი მონაწილეობდა. სოლომონ კვერკველია ინდივიდუალური პროგრამით აგრძელებს მზადებას, ხოლო ოთარ კიტეიშვილი ვარჯიშს უახლოეს დღეებში განაახლებს.

ის, რაც რამდენიმე წლის წინ დაუჯერებლად მიგვაჩნდა, ხვალ აღსრულდება - ევროპის ჩემპიონატზე საუკეთესო გუნდებს შორის ჩვენი ეროვნული ნაკრებიც იასპარეზებს. ეს უდიდესი სიხარულია არა მარტო ფეხბურთელებისთვის, არამედ გულშემატკივრებისთვისაც, ამიტომ გვჯერა, ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ღირსეულად წარმოაჩინოს ჩვენი ქვეყანა.

ჩემპიონატი დღეს, 14 ივნისს გაიხსნება და პირველ მატჩში გერმანია შოტლანდიას შეხვდება.

ვფიქრობთ, საქართველოს ნაკრების თამაშის განრიგი თითოეულმა გულშემატკივარმა ზეპირად იცის, მაგრამ ჩვენ მაინც შეგახსენებთ, რომ ეროვნული ნაკრები დორტმუნდში 18 ივნისს თურქეთის გუნდს ხვდება (დასაწყისი თბილისის დროით 20 საათზე), მეორე შეხვედრას ჩეხეთის ნაკრებთან 22 ივნისს ჰამბურგში ჩაატარებს (დასაწყისი - 17 საათზე), ჯგუფში ბოლო თამაში პორტუგალიასთან 26 ივნისს გელზენკირხენში გვექნება (დასაწყისი - 23 საათზე).

ესაა ჯგუფური ეტაპი, რომლის დასრულებასაც ყველა მოუთმენლად ველით. ამის შემდეგ დაიწყება პლეიოფის ეტაპი, სადაც ყველას გვაქვს იმედი, რომ ჩვენი ნაკრებიც იასპარეზებს.

ჩემპიონატის ირგვლივ მოკლე კომენტარი ვთხოვეთ ჩვენს გამორჩეულ ვეტერან ფეხბურთელებს რევაზ ჩელებაძესა და ასლან ბალაძეს.

რევაზ ჩელებაძე:

- უპირველესად, დაბეჯითებით ვიტყვი, რომ პლეიოფში აუცილებლად გავდივართ, ბიჭები წარმატებისთვის მზად არიან. მათზეა დამოკიდებული მათივე ბედ-იღბალი. სამოთხ ფეხბურთელს აქვს იმის საშუალება, გამართულად და კარგად რომ ითამაშოს, რადგან ისინი დიდ კლუბებში თამაშობენ კარგ ფეხბურთს. მათაც სურთ ჩემპიონატზე თავის გამოჩენა, ვინც, შეიძლება, კარგ გუნდში არ თამაშობს. ამდენად, ვფიქრობ, რომ აბსოლუტურად მთელი გუნდია მომზადებული. ასეთ ფორუმზე მოხვედრა ხომ სასწაულია. ჩვენს ბიჭებს აქვთ სერიოზული ბრძოლის უნარი. ღრმად ვარ დარწმუნებული, პირველ ეტაპს წარმატებით გავივლით, პლეიოფში გავალთ და დანარჩენი უფლის ნებაა.

- ბატონო რევაზ, როგორც ამბობენ, გუნდში კარგი განწყობაა.

- რა თქმა უნდა, ფანტასტიკური განწყობაა და ეს სახიხარულოა, მე კი ისიც მიხარია, რომ 22 და 26 ივნისს ჩვენს ნაკრებს გერმანიაში ვუგულშემატკივრებ, შესაძლოა, მესამე თამაშზეც დავრჩე. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დიდი პატივი დაგვდო - მე და რევაზ ძოძუაშვილი ევროპის ჩემპიონატზე მივყავართ. აქვე მადლობას გადავუხდი მათ ასეთი დაფასებისთვის.

ასლან ბალაძე, „ბათუმის დინამოს“ სპორტული დირექტორი:

- მოლოდინი ძალიან დიდია, ყველა ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი. ვფიქრობ, რომ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ჩემპიონატი იქნება, რადგან ძალიან კარგმა ნაკრებებმა მოიყარა თავი. მიხარია, რომ საქართველოს ნაკრები დიდ მარათონში ჩაერთო. პირადად მე იმედიანად ვარ, მჯერა, რომ საქართველოს ნაკრები თავს არ შეირცხვენს, თავის სიტყვას ნამდვილად იტყვის. ჩვენი ფეხბურთელები თამაშობენ ესპანეთის, იტალიის, საფრანგეთის გუნდებში... ასე რომ, ვფიქრობ, საქართველოს ნაკრები კარგ შედეგს დადებს.

მთელი საქართველო მოუთმენლად ელოდება ჩემპიონატს და განსაკუთრებით - ჩვენი ბიჭების თამაშებს. წარმატება ვუსურვოთ ქართველ ფეხბურთელებს!

ნაცნობი... უცნობი მუსიკა

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დიდ დარბაზში კლასიკური მუსიკის საღამო გაიმართა, რომელშიც ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტები და მოწვეული მუსიკოსები მონაწილეობდნენ

ეს იყო ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტზე განხორციელებული, ბათუმის მერიის „თავისუფალი პროექტების“ კონკურსში გამარჯვებული საინტერესო პროექტი სახელწოდებით „ნაცნობი უცნობი მუსიკა“. იგი წელს პირველად განხორციელდა და მისი ავტორია მუსიკისმცოდნე ხათუნა მანაგაძე. საღამოც მას მიჰყავდა.

საკონცერტო პროგრამაში იყო მენდელსონის, გერშვინის, რაველის, დუპარკის, პიტერსონის, ნინო როტას და სხვა ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებები. სტუდენტებმა მენტორებთან ერთად თითქმის ორი თვის განმავლობაში იმუშავეს რეპერტუარზე.

შეირჩა მცირე ზომის გარკვეული მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებიც „ყოველდღიურად“ არ სრულდება. პროექტის ავტორისა და ორგანიზატორების თხოვნით, დირიჟორმა გიორგი აფრიამაშვილმა არანჟირება, ცალკეული პარტიების ტრანსკრიფცია გააკეთა.

პროექტის განხორციელებაში ხათუნა მანაგაძეს გვერდით ედგა ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორი ლალი ჭელიძე, ასოცირებული პროფესორები ნინო ჩაიძე, თეა გოგოტიშვილი და მოწვეული პედაგოგი, სოლისტი ეთერ ხალვაში.

სამუშაო პროცესი ძალიან საინტერესო იყო, შედგა სასიამოვნო და მნიშვნელოვანი კოლაბორაცია, რომელმაც საშუალება მისცა ყველას, ერთმანეთის შესაძლებლობები კარგად გაეცნოთ.

საღამოს მსვლელობისას ხათუნა მანაგაძე წარმოგვიდგენდა კომპოზიტორს, ვისი ნაწარმოებიც უნდა მოგვესმინა. ბიოგრაფიებს მოკლედ და საინტერესო დეტალებით ავსებდა.

სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე სტუდენტების მიერ შესრულებული ნაწარმოებები სასიამოვნოდ ჟღერდა.

კონცერტში ქართველების გარდა მონაწილეობდნენ ტრაპიზონის უნივერსიტეტთან არსებული კონსერვატორიის (აღნიშნულ უნივერსიტეტთან ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტს მრავაწლიანი მეგობრული თანამშრომლობა აკავშირებს) დეკანი, ასოცირებული პროფესორი აიშეგულ ერგენე (კლარნეტი) და ასისტენტ პროფესორი ემრაჰ ერგენე (ფორტეპიანო).

კონცერტის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები და წიგნები, რომლებიც მაღაზიათა ქსელმა „ბიბლუსმა“ მათთვის გაიღო.

ზურაბ ჯეგნარაძე, ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი:

- ვფიქრობ, დღევანდელი საღამო წარმატებული იყო. არც ლექტორებს და არც სტუდენტებს თავი არ დაუზოგავთ, რათა კონცერტი კარგი გამოსულიყო. პროექტი მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანისთვის, რადგან ამ დროს იზრდები, როგორც პროფესიონალი შემსრულებელი, ავითარებ იმ უნარებს, რომლებიც საჭიროა შემდგომში. გარკვეული ნაწარმოებების არანჟირება გაკეთდა და ის რაც არსად შესრულებულა, პირველად შესრულდა ბათუმში.

ეთერ ხალვაში:

- ხათუნა ძალიან კარგ და საინტერესო პროექტებს ახორციელებს, არც ეს იყო გამონაკლისი. ყველას მიეცა შესაძლებლობა, ემღერა განვითარებისთვის. პროექტი დატვირთული იყო რთული და მრავალფეროვანი პროგრამით. ისეთი ნაწარმოებები შესრულდა, რომელიც თავისი სპეციფიკით რთულია და თანაც იშვიათად სრულდება. სექტემბრიდან პროექტს თურქეთი უმასპინძლებს. ეს მეორე პროექტია, რომელშიც ვმონაწილეობ. მადლობა ხათუნას, ყველა მენტორს იმ ემოციებისთვის, რომელიც დღეს მივიღე.

თამთა ჩხეიძე, პირველკურსელი პიანისტი:

- გამორჩეული პროექტია, იგი საშუალებას აძლევს მსმენელს, გაეცნოს ისეთ ფასეულ მუსიკას, რომელსაც ნაკლებად უსმენს. ქალბატონი ხათუნა რომ საუბრობს ავტორების, კომპოზიტორების ბიოგრაფიებსა და ეპოქის შესახებ, ეს ცნობიერების ამაღლებასაც უწყობს ხელს.

მთვარისა თევზაძე, მუსიკოსი, დირიჟორი:

- ასეთი ტიპის პროექტი პირველია. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ სტდენტების - ვოკალისტების და პიანისტების კოლაბორაციას უწყობს ხელს, რასაც სამომავლოდ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ავირჩიეთ პროგრამა, რომელიც ბათუმში ნაკლებად სრულდება და, საერთოდ, ბევრმა სულაც პირველად მოისმინა. გიორგი აფრიამაშვილმა გააკეთა არანჟირება, რომელიც ჩვენთან დიდი ხანია მუშაობს. ვფიქრობ, აქ მოხდა ყველაზე საინტერესო რამ, სტუდენტებმა თავიანთი შესაძლებლობების, უნარების შესახებ გაიგეს. გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება საშემსრულებლო ხელოვნებისადმი.

გვერდი მოამზადა
მანანა კიკიშვილმა

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 13/06/24, 19 ⁰⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„ხარხარ-შოუ“ - იუმორის კორიფეები ბათუმში

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ამბობენ, სიცილი სიცოცხლეს ახანგრძლივებსო, ჰოდა, 7-8 ივნისს ბათუმში, საზაფხულო თეატრში მყოფ მაყურებლებს, შეიძლება ითქვას, სიცოცხლე მოემატათ. იუმორისტებმა აჭარიდან, იმერეთიდან, რაჭიდან, კახეთიდან, სამეგრელოდან და გურიიდან, დედაქალაქელებთან ერთად, საკუთარი კუთხისთვის დამახასიათებელი იუმორით გაჯერებული „ხარხარ-შოუ“ მოაწყვეს და ერთმანეთზე უკეთესი ნომრები შეასრულეს

ეს გახლავთ იუმორისტული პროექტი, რომელიც ბათუმში პირველად განხორციელდა და რომლის იდეის ავტორიც კახა ფირცხალაიშვილია, რეჟისორი კი რევაზ ბაინაზიშვილი. სცენაზე, ყველასათვის საყვარელ იუმორისტებთან ერთად, ახალგაზრდებიც გამოჩნდნენ.

წამყვანებმა ნუგზარ კვაშალმა და ვახტანგ გიგინეიშვილმა ერთმანეთთან იუმორისტული „ქიშპი“ გამართეს, ვინ უკეთ წაიყვანდა შოუს. საბოლოოდ, მაყურებელმა ორივე გამარჯვებულად დაასახელა.

„ხარხარ-შოუს“ გუნდს წარმოადგენდნენ ვახტანგ ტატიშვილი, ბიძინა მახარაძე, ჯემალ ველიაძე, მარინა დარასელია, სესე მიქავა, გეგე სულხანიშვილი, დავით კვირცხალია, მანუჩარ მალაყმაძე და სხვები.

მაყურებლის მჭუხარე ოვაციებმა და იუმორისტებთან თბილმა ჩახუტებამ ცხადყო, რომ „ხარხარ-შოუმ“ ძალიან კარგად ჩაიარა და პროექტს შესანიშნავი სტარტი ჰქონდა.

- პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო „ხარხარ-შოუს“ ორგანიზატორებს შესანიშნავი პროექტისთვის. ეს იყო იუმორის ნამდვილი ზეიმი, რომელმაც კიდევ უფრო დაგვარწმუნა იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა იუმორის მხრივ ყველაზე გამორჩეულია. ვიმეღვნებ, კვლავ გაგრძელდება ეს შოუ და კიდევ მრავალჯერ ვიხარხარებთ ერთად, - გვითხრა მაყურებელმა მარიამ ანანიძემ.

- ვფიქრობ, ხალხს მოეწონა დღევანდელი საღამო და თანდათან უფრო უკეთესი იქნება. აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ბათუმს შესანიშნავი მაყურებელი ჰყავს და... აქვე ერთი საიდუმლოც გაგიმხილოთ - ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“ პირველად ბათუმში ჩამოდიოდა და თუ ბათუმელებს კონცერტი მოეწონებოდათ, შემდეგ მართავდნენ თბილისში, ასევე, „ვია 75“ და სხვა ანსამბლებიც. ეს იმის მანიშნებელია, რომ ბათუმს შესანიშნავი მაყურებელი ჰყავს, - აღნიშნა მომღერალმა და პროექტის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ნუგზარ ერგემლიძემ.

- ემოციებით ვარ დატვირთული. დღევანდელი საღამო იყო ერთგვარი გამოცდა, რადგან თუ ამ პროექტმა გაამართლა, ჩათვალეთ, როგორც თბილისში იმართება „იუმორინა“, მისი მსგავსი დამკვიდრდება ბათუმშიც. იყო ნერვიულობა, მაგრამ, ვფიქრობ, ამ გამოწვევას თავი გავართვით, - გვითხრა მასპინძელთა წარმომადგენელმა ჯემალ ველიაძემ.

როგორც რეჟისორმა რევაზ ბაინაზიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, პირველი მცდელობა, რომ ხალხს ეცინა და ეხარხარა, შედგა.

- დღევანდელ საღამოს, სიამოვნების გარდა, სხვა მისიაც აკისრია - საფუძველი ეყრება ახალ წამოწყებას, რომელსაც ყოველთვის მხარს დავუჭერ. რაც უფრო მეტი თეატრალური კერა გაჩნდება, ჩემთვის უფრო კარგია, რადგან თეატრის მსახიობი ვარ უკვე 50 წელზე მეტია და შესაბამისად - ყველანაირი წამოწყების გულშემატკივარიც. მიხარია, რომ ნუგზარ ერგემლიძის წყალობით მეც მოვხვდი ამ შოუში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემი ჟანრი არ არის, ვეცადე, რაღაც გამომსვლოდა. ყოველ შემთხვევაში, მაყურებელი უკმაყოფილო არ დარჩენილა, - აღნიშნა დავით კვირცხალიამ.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, კვლავ დაველოდოთ „ხარხარ-შოუს“, საყვარელ იუმორისტებთან ერთად ვიხარხაროთ და ჩვენს ცხოვრებას უფრო მეტი პოზიტივი შევმატოთ.

„ფრეკენ ჟული“ - მორიგი პრემიერა ბათუმის დრამატულ თეატრში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

25 ივნისს ბათუმის დრამატული თეატრის მცირე სცენაზე მაყურებელი მორიგ პრემიერას იხილავს, რომლის რეჟისორი ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობი მეგი კობალაძეა. პიესის თარგმანი დავით გაბუნიას ეკუთვნის, მუსიკალური გაფორმება - დავით ვარშანიძეს, ფოტოგრაფი ირაკლი ძნელაძეა. მონაწილეობენ: სალომე დოლიძე (ფრეკენ ჟული), ზურაბ გორგილაძე (ჟანი), მარიამ ენდელაძე (კრისტინი)

„ფრეკენ ჟული“ - ავგუსტ სტრინდბერგის ეს დრამა 1888 წელს დაიწერა. სიუჟეტი შვედეთში, ზაფხულის ღამეს ვითარდება. ფრეკენ ჟულის, დიდგვაროვან ქალსა და ჟანს შორის (მამის მსახური) ფლირტი ვითარდება. ორივე მღელვარე ურთიერთობაში ერთვება, რომელიც სოციალური კლასის საზღვრებს ეწინააღმდეგება. მათი ურთიერთქმედება ღრმა ფსიქოლოგიურ და სოციალურ კონფლიქტებს ავლენს, რასაც ტრაგიკულ დასკვნამდე მივყავართ.



- პირველ რიგში, „ფრეკენ ჟული“, როგორც პიესა, ძალიან მომწონს. მიუხედავად იმისა, რომ იგი 1888 წელს დაიწერა, მაინც ახერხებს, დღევანდელ აქტუალურ თემებს შეეხოს. კლასიკა, მით უფრო ისეთი ძლიერი დრამატურგის, როგორიცაა სტრინდბერგი, გვაძლევს ბევრ თავისუფლებას და საშუალებას, ტექსტი გადმოვიტანოთ თანამედროვე დროში ან თუნდაც არ დავაკონკრეტოთ და ამან აბსოლუტურად არ შეუშალოს ხელი ჩვენს ჩანაფიქრს, პირიქით... ჩვენი „ფრეკენ ჟული“ უფრო ექსპერიმენტია, ვიდრე კლასიკური მიდგომა დრამატურგიისადმი. ამასთან, ხელს გვიწყობს დავით გაბუნიას არაჩვეულებრივი თარგმანი. ტექსტი მელოდიური და მდიდარია. ზოგადად, ამ შემთხვევაში, დიდაქტიკას არ უნდა ელოდოს მაყურებელი, არც სწავლებას ან ჭკუის დარიგებას. ეს სპექტაკლი უფრო ფაქტებით იქმნება, რომელიც უნდა გავიაზროთ, ზოგ შემთხვევაში კი, ალბათ, საკუთარ გამოცდილებასაც გაგვახსენებს და მისი ხელახლა გააზრების საშუალებას მოგვცემს. რაც შეეხება მთავარი როლის შემსრულებელს - სალომეს დიდი ხანია ვიცნობ, თუმცა, სამწუხაროდ, არასოდეს მქონია მასთან მუშაობის საშუალება, არც სცენაზე ვყოფილვართ პარტნიორები. ვარ ძალიან კმაყოფილი, სალომე არის ნამდვილი პროფესიონალი და პასუხისმგებლობით ეკიდება სამუშაო პროცესს. პრემიერას 25 ივნისს, მხოლოდ ერთი დღით ვითამაშებთ, დასწრება თავისუფალია, - გვითხრა მეგი კობალაძემ.

- ყველა ახალ როლზე მუშაობა ჩემთვის ახალი გამოწვევა და გამოცდილებაა, ახალი საფიქრალი შემოდის ხოლმე გონებაში და ნაცნობი მოვლენების ახლებურად დანახვა და გადაფასება იწყება. ვფიქრობ, ჯერ კიდევ როლის მორგების პროცესში ვარ. ვცდილობ, მაქსიმალურად ჩავწვდე იმ გრძნობებს, ემოციებს, ფიქრებს, ვნებებს, ტკივილს თუ სიხარულს, რაც ამ პერსონაჟში უხვადაა თავმოყრილი. ხასიათით ჩემგან რადიკალურად განსხვავებულია, თუმცა გვაქვს საერთო შეხედულებებიც. მუშაობის პროცესი, სპექტაკლის ფორმა და თამაშის ხერხი ჩემთვის ახალი გამოცდილებაა და ყოველი რეპეტიცია საინტერესო და სასიამოვნო აღმოჩენებითაა სავსე. ყველაზე მნიშვნელოვანი და გამორჩეული ჩემთვის ისაა, რომ გადავაფასე და სხვა თვალით შევხედე ისეთ საკითხებს, რაზეც სპექტაკლშია ყურადღება გამახვილებული. მეგისთან მუშაობა უზომოდ საინტერესოა, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე მისგან, - გვითხრა სალომე დოლიძემ.

პროექტი დაფინანსებულია აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ.

ბიძინა კვერნაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი

მანანა კიკიშვილი 598 24 94 97

ორ დღეში ჩვენი ქალაქი ბიძინა კვერნაძის სახელობის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს უმასპინძლებს, რომელიც წელს მესამედ იმართება. ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია ოთხი საღამო (ბათუმში - ორი, თითო-თითო - თბილისსა და სიღნაღში)

ფესტივალი 14 ივნისს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში გაიხსნება ლუიჯი ქერუბინის ოპერით „მედეა“. აღსანიშნავია, რომ ეს ოპერა საქართველოში პირველად ბათუმში შესრულდება. სიმბოლურია, რომ ბიძინა კვერნაძეს თავად აქვს შქმნილი ოპერა სახელწოდებით „მედეა“, რომლის ფრაგმენტებიც ასევე გაჟღერდება ფესტივალის ფარგლებში.

რაც შეეხება ქერუბინის ოპერა „მედეას“, წარმოდგენილი იქნება ცნობილი ევროპული საოპერო თეატრების რეპერტუარის მიხედვით, სადაც მთავარ პარტიას მსოფლიოში აღიარებული, მედეას როლის საუკეთესო შემსრულებელი, ქართველი სოპრანო იანო ალიბეგაშვილი შეასრულებს. ფესტივალზე ნორვეგიიდან მოწვეულია დამდგმელი დირიჟორი ენ რენდინ ოვერბი.

აღსანიშნავია, რომ პროექტში მონაწილეობს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელა. იანო ალიბეგაშვილს პარტნიორობას გაუწევენ როგორც იტალიიდან მოწვეული ტენორი იოსებ ჯიპალი, სოპრანო არდიტა მენი, ასევე ცნობილი მსოფლიო საოპერო ვარსკვლავი რამაზ ჩიკვილაძე.

15 ივნისს, ფესტივალის ფარგლებში, ბათუმის თეატრი დიდ ქართველ კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს უმასპინძლებს, რომელშიც ცნობილ ქართველ მუსიკოს-შემსრულებლებს მოვუსმენთ. მაესტრო ნიკა ნიკვაშვილის მიერ წარმოდგენილ ვერსიებს თამარ გვერდწითელი, გიორგი სუხიტაშვილი, სოფო ხალვაში შეასრულებენ.

29 ივნისს ფესტივალს თბილისი უმასპინძლებს, სადაც გალა-კონცერტი გაიმართება. ქართული თეატრისა და კინოს აკადემიური მუსიკის შედევრებით ნიკა ნიკვაშვილი ქართველ შემსრულებლებთან ერთად წარსდგება. ფესტივალის დასკვნითი ღონისძიება კი ბიძინა კვერნაძის მშობლიურ ქალაქ სიღნაღში გაიმართება, სადაც მსმენელს კომპოზიტორის უკვდავი შემოქმედებით დატკბობის შესაძლებლობა მიეცემა.

წლევანდელი ფესტივალი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ბათუმის მერიის მხარდაჭერით ტარდება.